საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

www.ombudsman.ge

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში



www.ombudsman.ge

პუბლიკაცია მომზადებულია ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.







სარჩევი

სარჩევი 3

1. შესავალი 4

2. მეთოდოლოგია 5

2.1. სოციოლოგიური გამოკითხვის კომპონენტი 5

2.2. გამოთხოვილი მასალის შინაარსობრივი ანალიზი 10

3. ზოგადი მიმოხილვა 10

4. მოთხოვნებზე/საჩივრებზე რეაგირება 14

4.1. მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის ხელმისაწვდომობა 14

4.1.1. მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმირებულობა 14

4.1.2. მოთხოვნის/საჩივრის შეტანის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა 24

4.1.3. მოთხოვნის/საჩივრის რეგისტრაცია და ადრესატისათვის გაგზავნა 27

4.1.4. საჩივრის შეტანის პრაქტიკა 31

4.2. მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურა 36

4.2.1. ვადები 37

4.2.2 კონფიდენციალურობა 41

4.2.3. პატიმრის დაცვა ზეწოლისაგან და სხვა სახის რეპრესიებისაგან 49

4.3. მოთხოვნის/საჩივრის განხილვის შედეგები 53

4.3.1. გადაწყვეტილების დასაბუთება 53

4.3.2. პატიმრის ინფორმირება გადაწყვეტილების შესახებ 61

4.3.3. გასაჩივრების უფლება 65

5. პროაქტიური შიდა მონიტორინგი 70

5.1. გენერალური ინსპექცია და მონიტორინგის სამმართველო 70

5.2. სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო 73

დანართი 78

1. შესავალი

წამების აბსოლუტური აკრძალვა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ჩვეულებითი სამართლის იმპერატიულ (Jus Cogens) ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა. წამების წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფი და მიუკერძოებელი განხილვის უფლება, ასევე ეფექტიანი შიდა მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება. აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში რეალიზება შეუძლებელია პატიმრებისათვის შესაბამისი უსაფრთხო საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურების უზრუნველყოფის გარეშე. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება შექმნან ისეთი ქმედითი სისტემა, სადაც პატიმრებს შეეძლებათ საჩივრების შეტანა მათდამი მოპყრობისა და პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი უზრუნველყოფს პატიმართა უფლებების პატივისცემას და წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. ასეთი მექანიზმის არარსებობა უარყოფითად აისახება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე. მოთხოვნებზე და საჩივრებზე არაჯეროვანი რეაგირების პირობებში პატიმრები ხშირად მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ზომებს - შიმშილობას და თვითდაზიანებას.

წინამდებარე კვლევის ჩატარების მიზეზი გახდა სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმსა და შიდა მონიტორინგთან დაკავშირებით იკვეთება გარკვეული, არსებითი ხასიათის პრობლემები. აღნიშნული კვლევა განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველლოს“ ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის - „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის მექანიზმისა და შიდა მონიტორინგის გაძლიერება“ - ფარგლებში.

საჩივრის/მოთხოვნის განხილვის პროცედურის და ამ პროცედურისადმი პატიმართა ნდობის ხარისხისა და დამოკიდებულების კვლევა საქართველოში პირველად ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ კვლევა მოიცავს სოციოლოგიურ[1] და სამართლებრივ კომპონენტებს. კვლევის ფარგლებში სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 14 პენიტენციურ დაწესებულებაში, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით პატიმრების გამოკითხვა ჩაატარა. განხორციელდა საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის პროცედურებისა და შიდა მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში ანალიზი. კვლევა მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ რამდენად უზრუნველყოფილია მომჩივანთათვის უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, კონფიდენციალური და მიუკერძოებელი მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურები. აგრეთვე, მოსდევს თუ არა მოთხოვნებს/საჩივრებს დროული რეაგირება და რამდენად არის რეაგირების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული.

[1] სოციოლოგიური კითხვარი შეიმუშავა და მონაცემების ანალიზი განახორციელა სოციოლოგმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

2. მეთოდოლოგია

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა მიზნად ისახავდა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის პროცედურისა და შიდა მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზისა და პრაქტიკის ანალიზს, ამ პროცედურის შესახებ პატიმართა ინფორმირებულობის დონისა და მის მიმართ პატიმართა დამოკიდებულების შეფასებას. პროექტის საბოლოო მიზანს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენდა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებები მოიცავს საერთაშორისო სტანდარტების სამაგიდე კვლევას, სოციოლოგიურ გამოკითხვას, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებას, ვიზიტის მიმდინარეობისას დაკვირვებას, დაწესებულებებში რეგისტრირებული კორესპონდენციის შემოწმებას და შემთხვევითი შერჩევის პრინციპის შესაბამისად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული მასალის შინაარსობრივ ანალიზს, ასევე სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას[2].

2.1. სოციოლოგიური გამოკითხვის კომპონენტი

სასჯელაღსრულების სისტემაში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პრაქტიკის ანალიზისა და მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის შესახებ პატიმართა ინფორმირებულობისა და ამ პროცედურის მიმართ დამოკიდებულების შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სოციოლოგიური გამოკითხვის კომპონენტი.

კვლევის ძირითადი ამოცანები:

- სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა ინფორმირებულობის გამოვლენა იმის შესახებ, თუ მსჯავრდებულის რომელი უფლებების დარღვევის შესახებ შეიძლება საჩივრის შეტანა; რა პროცედურები უნდა შესრულდეს საჩივრის შესატანად; რა პროცედურები ახლავს მსჯავრდებულის საჩივრის განხილვას და მასზე რეაგირებას და ა.შ.

- ბოლო 2 წლის განმავლობაში პატიმართა მიერ საჩივრების შეტანის პრაქტიკის კვლევა (საჩივრების შეტანის სიხშირე, საჩივრების რაოდენობა, საჩივრების თემა, საჩივრების ადრესატი და ა.შ.);

- მატერიალურ–ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობა საჩივრების შესატანად;

- საჩივრებზე რეაგირება

- საჩივრების შეტანის პრაქტიკის გაუმჯობესების გზები პატიმართა თვალთახედვით.

[2] კვლევის რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოთვლის მიზნით სტატისტიკური მონაცემები დაამუშავა ბელა რეხვიაშვილმა;

კვლევის გენერალური ერთობლიობა: სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები.

გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის მეთოდი: მასობრივი გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით.

კვლევის ინსტრუმენტი: სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც ძირითადად შედგებოდა დახურული და ნახევრად დახურული შეკითხვებისაგან.

შერჩევის მოცულობა: სასჯელაღსრულების 14 დაწესებულებაში მყოფი 1957 პატიმარი.

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული შერჩევა.

კვლევის საწყის ეტაპზე შედგა შერჩევის სქემა, რომელიც მოიცავდა რესპონდენტების განაწილებას სხვადასხვა პრინციპის მიხედვით. შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა გადანაწილდა შემდეგი კრიტერიუმებით გამოყოფილ სტრატებში:

1. სქესის მიხედვით:

1.1. ქალები

1.2. მამაკაცები

2. პატიმრობის სტატუსის მიხედვით:

2.1. მსჯავრდებულები

2.2. ბრალდებულები

3. დაწესებულების ტიპის მიხედვით:

3.1. ნახევრად ღია

3.2. დახურული

4.3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება

აღნიშნული სტრატების განაწილება, თითოეული მათგანისთვის შერჩევის ცდომილების მითითებით, მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

ცხრილი N1

	ინტერვიუ	ცდომილება (95%-იანი საიმედოობით)
ქალები (ქალთა სპეციალური დაწესებულების პატიმრები)	151	6.5%
მამაკაცები	1806	2.1%
სულ	***1957***	***2.0%***
მსჯავრდებულები	1,535	2.5%
ბრალდებულები	422	4,8%
სულ	***1,957***	***2.1%***
ნახევრად ღია	1044	2,5%
დახურული	805	3.2%
არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება (N11)	37	

შენიშვნა:

- არასრულწლოვანი პატიმრების შემთხვევაში არ არის დათვლილი შერჩევის ცდომილება, რადგან კვლევამ დაფარა ფაქტობრივად ყველა არასრულწლოვანი პატიმარი; ანუ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს აღწერასთან და არა შერჩევასთან.

ცხრილში N2 მოცემულია თითოეული სტრატის მოცულობები შერჩევით ერთობლიობაში. ინტერვიუერებმა იხელმძღვანელეს სწორედ ამ სქემით:

ცხრილი N2

დაწესებულება	საერთო რაოდენობა	სქესი				ასაკი						მსჯავრდებულთა განაწილება დაწესებულების ტიპის მიხედვით			
	სულ	ბრალდებული	მსჯავრდებული	ქალი	კაცი	სქესი უცნობია	18>=	45 >=	60>=	60<	ასაკი უცნობია	დახურული	ნახევრად ღია	არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება	ტიპი უცნობია
№2 დაწესებულება	**220**	101	119	3	217		7	181	31	1		219	1		
№3 დაწესებულება	**95**	38	57	4	91			84	9	1	1	95			
№5 დაწესებულება	**142**	44	98	141	1		1	75	55	7	4	19	102		21
№6 დაწესებულება	**77**	2	75		77			70	7			77			
№7 დაწესებულება	**62**	1	61		62		1	51	9		1	61			1
№8 დაწესებულება	**248**	215	33	1	238	9	15	188	30	6	9	236	1		11
№9 დაწესებულება	**40**	9	31		40			35	4	1		20	17		3
№11 დაწესებულება	**39**	2	37		39		37	2					1	37	1
№12	**130**	1	129		130			92	35	2	1		130		

დაწესებულება															
№14 დაწესებულება	**231**		231		231			180	44	5	2		221		10
№15 დაწესებულება	**227**		227		227			178	44	3	2	3	220		4
№17 დაწესებულება	**279**		279		278			195	66	17	1		277		2
№18 დაწესებულება	**65**	5	60	2	63			41	19	4	1	64	1		
№19 დაწესებულება	**91**	2	89	1	88	2		69	21	1		2	73		16
დაწესებულება უცნობია	**11**	2	9		10	1		9	2			9			2
სულ	**1,957**	**422**	**1,535**	**152**	**1,792**	**12**	**61**	**1,450**	**376**	**48**	**22**	**805**	**1,044**	**37**	**71**

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: თავდაპირველად ჩატარდა საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირება და ფორმალიზაცია. შემდეგ განხორციელდა მონაცემების კომპიუტერში შეტანა. ფაილის „გაწმენდის“ (სტატისტიკური დამუშავების პირველი ეტაპი) შემდეგ, მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში.

მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებულ იქნა უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის მეთოდები, როგორიცაა სიხშირული (ერთგანზომილებიანი) განაწილება, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, კორელაციური ანალიზი და სხვ.

კვლევა ეყრდნობა პრინციპულ დაშვებას, რომ შესაძლებელია ანალიზი ჩატარდეს ორ დონეზე:

- პატიმრების, როგორც საერთო სოციო-კულტურული მახასიათებლების და მენტალობის მქონე ჯგუფის დონეზე;
- სხვადასხვა კრიტერიუმებით – პატიმრობის სტატუსი, სასჯელაღსრულების დაწესებულების ტიპი, პატიმართა სქესი – დონეზე.

შესაბამისად, ანგარიში მოიცავს ამ ორ დონეზე განხორციელებული ანალიზის შედეგებს.

2.2. გამოთხოვილი მასალის შინაარსობრივი ანალიზი

შემთხვევითი შერჩევის პრინციპის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოთხოვილ და მიღებულ იქნა 2015 წლის პირველ კვარტალში პატიმართა მიერ გაგზავნილი წერილების და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ ამ წერილებზე რეაგირების ამსახველი დოკუმენტაცია. ჯამში, შინაარსობრივი ანალიზის კომპონენტის მიზნებიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა პატიმართა 270 წერილზე განხორციელებული რეაგირების ამსახველი მასალა.

შინაარსობრივი ანალიზის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოთხოვნის/საჩივრის ადრესატის სწორად შერჩევა, ქვემდებარეობის მიხედვით გადამისამართება, განხილვის ვადები, პატიმრის ინფორმირება განხილვის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, თავად საჩივრის/მოთხოვნისა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება.

შინაარსობრივი ანალიზის შედეგების შესაბამისად შემუშავდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირებთან გასაუბრების სპეციალური კითხვარი. 2015 წლის 23 და 29 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე, ზემოხსენებული სპეციალური კითხვარის შესაბამისად, განხილული იყო შინაარსობრივი ანალიზის შედეგები. სამინისტროს წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მათი მოსაზრებები ანალიზის შედეგად გამოვლენილ ძირითად საკითხებზე.

3. ზოგადი მიმოხილვა

მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმის სანდოობისა და ეფექტიანობის კვლევის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა. გაირკვა, რომ პატიმრების მხრიდან მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის ცოდნის თვითშეფასება გაცილებით მაღალია პატიმართა ობიექტურ ცოდნასთან შედარებით.

უფლებების შესახებ პატიმართა ინფორმირების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა სათანადო ინფორმირებულობას, როგორც ზოგადად პატიმართა უფლებების, ასევე კონკრეტულად მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პატიმრებს რეგულარულად არ მიუწვდებათ ხელი მათ უფლებებსა და გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაციაზე. პენიტენციურ დაწესებულებებში არც დერეფნებში და არც საცხოვრებელ საკნებში არ არის გამოკრული პატიმართა უფლებების ნუსხა, მათ შორის, მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების და განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია. პატიმრებს არ აქვთ საკანში წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციას.

დადებითად უნდა აღინიშნოს დაწესებულებებში არსებული ვითარება მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც პატიმრებს ბოლო ორი წლის მანძილზე სხვადასხვა სიხშირით არ ჰქონდათ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

მოთხოვნის/საჩივრის რეგისტრაციისა და ადრესატისათვის გაგზავნის კუთხით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საჩივრების შემტან პატიმართა უმრავლესობას ეცნობა საჩივრის რეგისტრაციის ნომერი. თუმცა, საყურადღებოა, რომ კონფიდენციალურ საჩივართან მიმართებაში ყოველი მესამე პატიმარი უთითებს, რომ მათ არ მიუღიათ საჩივრის რეგისტრაციის ნომერი. პატიმრების უმრავლესობის განცხადებით, საჩივრების ყუთთან არ მომხდარა გადაგზავნილი საჩივრის რეგისტრაციის ნომრისა და შესაბამისი კონვერტის კოდის გამოკვრა. ხაზგასასმელია, რომ სარეგისტრაციო ნომრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება პირდაპირ საკნებში, რითაც შესაძლებელი ხდება კონფიდენციალური საჩივრის ავტორის იდენტიფიცირება. კვლევის დროს დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საჩივარი განსახილველად იმ პირს გადაეგზავნა, რომლის ქმედებასაც ეხებოდა საჩივარი.

პრობლემას წარმოადგენს დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პატიმრის მიერ თანხმლები პირის გარეშე საჩივრის ყუთით სარგებლობის შეუძლებლობა. ასევე, რიგ დაწესებულებებში საჩივრების ყუთი სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ხვდება. კონფიდენციალურობა ირღვევა, როდესაც სოციალური სამსახურის თანამშრომლის დახმარებით საჩივრის დაწერისას, საკანში უსაფრთხოების თანამშრომელიც იმყოფება.

დახურული ტიპის დაწესებულებებში კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება იდენტიფიცირების გარეშე არ ხდება. კონფიდენციალობის აშკარა დარღვევის პრაქტიკას წარმოადგენს კონვერტის მოთხოვნისას, სოციალური სამსახურის თანამშრომელის მიერ კონვერტის ნომრის, სახელისა და გვარის ჩანიშვნა. შემაშფოთებელია, სახალხო დამცველის აპარატიდან მსჯავრდებულებისთვის გაგზავნილ კორესპონდენციის გახსნილ მდგომარეობაში დარიგება. აგრეთვე, დახურული კონვერტების დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრის თანდასწრებით გახსნა და მათ პირად საქმეში ჩადება.

სოციალოგიური კვლევის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საჩივრის შეტანის პრაქტიკის ანალიზს. გამოკითხულ პატიმართა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში შეიტანა საჩივარი/საჩივრები. საჩივრების შეტანის ყველაზე დიდი სიხშირით გამოირჩევიან დახურული ტიპის დაწესებულების პატიმრები. კვლევამ აჩვენა, რომ პატიმრები ძირითადად საჩივრის ღია ფორმას მიმართავენ. მონაცემების მიხედვით, მსჯავრდებულები უფრო აქტიურად მიმართავენ საჩივრის შეტანის პრაქტიკას ბრალდებულებთან შედარებით. აგრეთვე მამაკაცებს უფრო ხშირად შეაქვთ საჩივარი, ვიდრე ქალებს. დასანანია, რომ დღეს მოქმედი პატიმრობის კოდექსიდან საერთოდ ამოღებულია ის მუხლი, რომლითაც პენიტენციურ დეპარტამენტს ჰქონდა ვალდებულება განეხილა და გაეანალიზებინა დაწესებულებებში შემოსული მოთხოვნა/საჩივრები და მოემზადებინა

შესაბამისი ანგარიში. აღნიშნული ანალიზი შესაძლებელს გახდიდა დაწესებულებებში არსებული უკმაყოფილების გამოწვევი მიზეზების შეფასებას.

საჩივრების, მოთხოვნისა და განცხადების განხილვის სხვადასხვა ვადების პირობებში პრობლემას წარმოადგენს პენიტენციური სისტემის სხვადასხვა ერთეულების მიერ პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნისა და საჩივრის, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარე განცხადების დიფერენცირება და დადგენილ ვადაში რეაგირება. პატიმრების მოთხოვნასთან მიმართებაში დამკვიდრებულია დროული, მაგრამ შაბლონური პასუხების გაცემის პრაქტიკა. კერძოდ კი, მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების ადრესატი პენიტენციური სისტემის ერთეულები ძალიან მოკლე ვადებში უგზავნიან პატიმარს პასუხს, თუმცა ეს პასუხიც უმეტესწილად წარმოადგენს არა მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ უფრო შუალედურ პასუხს, რომელიც ადასტურებს, რომ ადრესატმა მიიღო პატიმრის მოთხოვნა/საჩივარი/განცხადება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, არ ხდება მომჩივნის/განმცხადებლის წერილობით, სათანადო ინფორმირება ვადის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ.

ვადებთან დაკავშირებით უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის მიერ, საჩივრის განხილვის ვადები პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული არ არის.

სოციოლოგიური კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პატიმრები ხშირ შემთხვევაში საჩივრის შეტანისგან თავს იკავებენ ზეწოლის გამო, რომელიც ძირითადად სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციისგან მოდის, თუმცა ზეწოლას ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, პროკურორის, გამომძიებლის თუ სხვა პატიმრების მხრიდან. პატიმრებმა მნიშვნელოვან ფაქტორად დაასახელეს, აგრეთვე, თვითცენზურა, ანუ განცდა იმისა, რომ საჩივრის დაწერა გაართულებდა მათ მდგომარეობას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში ის რესპონდენტები, რომლებსაც, სურვილის მიუხედავად, საჩივარი არ შეუტანიათ, ამის მიზეზად მხოლოდ ერთ ფაქტორს ასახელებენ განცდას, რომ ეს ნაბიჯი მათ მდგომარეობას დაამძიმებდა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვან წილს იკავებს ქალი პატიმრებისა და ბრალდებულების შემთხვევაშიც.

პატიმრების გამოკითხვა აჩვენებს, რომ როგორც ღია, ისე კონფიდენციალური საჩივრების დაკმაყოფილების სიხშირე ძალიან დაბალია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის წარმოების შეწყვეტას, არ შეიცავდა დასაბუთებას, იმის შესახებ, რატომ არ გაიზიარეს პატიმრის მიწოდებული ინფორმაცია და გაიზიარეს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია. საკითხის სრულად შესწავლა ხშირ შემთხვევაში არც სამედიცინო დეპარტამენტში ხდება.

პრობლემურია გენერალური ინსპექციის მეთოდოლოგია საკითხის შესწავლისას, კერძოდ, ისინი ძირითადად შემოიფარგლებიან მხოლოდ პატიმრისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების გამოკითხვით. გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები ყველა შემთხვევაში არ სწავლობენ დოკუმენტურ და სხვა მტკიცებულებებს, არ გამოკითხავენ სხვა პატიმრებს და სხვა მოწმეებს. ასევე, გამოკითხვისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უსვამენ მისახვედრ კითხვებს და მიღებულ პასუხებს არ ამოწმებენ სხვა წყაროებით. საქმეების წარმოება წყდება იმ არგუმენტით, რომ არ დადასტურდა დარღვევის ფაქტი, მაშინ როდესაც, ჩამოწერის ცნობებში არგუმენტაცია ძირითადად მოიცავს მხოლოდ მიღებული ახსნა განმარტებების აღწერას და ბოლოს დასკვნას, რომ არ დადასტურდა დარღვევის ფაქტი.

ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 19,2%-მა გასცა სწორი პასუხი კითხვას, თუ რამდენ ხანში გადაეცა მსჯავრდებულს საჩივრის განხილვის შედეგები, გადაწყვეტილების მიღებიდან. რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია პატიმართა ინფორმირებულობის თვალსაზრისით. სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად ჩანს, რომ საჩივრებზე ადრესატების გამოხმაურების თვალსაზრისით, მკვეთრი განსხვავებაა ღია და კონფიდენციალური საჩივრის ტიპების მიმართ: თუ ღია საჩივარზე, შემთხვევათა უმრავლესობაში (52.6%) პატიმარი პასუხს ყოველთვის იღებს, კონფიდენციალურ საჩივარზე ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ნაკლებია (37%). მიღებული მონაცემების ანალიზის დროს რიგ შემთხვევებში არ ჩანდა, ეცნობა თუ არა განმცხადებელს მის საჩივარზე რეაგირების შედეგები. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმარს ეცნობება მისი მოთხოვნის/საჩივრის განხილვის შედეგები, პასუხი არ არის სრულყოფილი, არ მოიცავს ყველა საკითხს რასთან დაკავშირებითაც ბრალდებული/მსჯავრდებული ამახვილებდა ყურადღებას.

სასჯელაღსრულების დახურული ტიპის დაწესებულებებში პრობლემებია პატიმართათვის განკუთვნილი პასუხების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, პატიმარს აცნობენ მის განცხადებასთან დაკავშირებით მიღებულ პასუხს, თუმცა არ უტოვებენ საკანში. არის შემთხვევები, რომ პატიმარი ვერ ახერხებს სათანადოდ გაეცნოს მიღებულ პასუხს და განახორციელოს შემდგომი რეაგირება.

დადებითად უნდა აღინიშნოს პატიმრობის კოდექსიდან იმ ჩანაწერის ამოღება, რომელიც ზღუდავდა პატიმრის მიერ მოთხოვნაზე მიღებული უარის გასაჩივრებას. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის საქმის წარმოების მასალების თვისობრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პატიმრებს გაგზავნილ პასუხში არ აცნობენ მათ უფლებას გასაჩივრების შესახებ. ასევე არ ხდება მათი ინფორმირება, თუ სად და რა ვადაში არის შესაძლებელი მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება.

კვლევის ფარგლებში სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ პატიმართა საჩივრებზე რეაგირების ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში, გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული სამსახურეობრივი შემოწმება ფორმალურ ხასიათს ატარებს და ვერ ჩაითვლება ეფექტურ საქმიანობად. იგივე შეიძლება ითქვას მონიტორინგის სამმართველოს მიერ განხორციელებული საქმიანობაზე. სწორედაც, რომ გენერალური ინსპექციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფლებამოსილებების

ურთიერთკვეთა და მონიტორინგის სამმართველოს არაეფექტიანი მუშაობა გახდა ამ უკანასკნელის სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ერთად გაუქმების მიზეზი, რაც უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს.

დადებითად უნდა აღინიშნოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ მდგომარეობის კრიტიკული შეფასებისა და დარღვევების გამოვლენის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია აღნიშნული სამმართველოს საქმიანობის შემდგომი გაძლიერება და მისი შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს სამუშაო მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა, თანამშრომელთა პროფესიული სწავლება, სამმართველოს უფლებამოსილებების შესახებ პატიმართა სათანადო ინფორმირება და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

4. მოთხოვნებზე/საჩივრებზე რეაგირება

4.1. მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის ხელმისაწვდომობა

მოთხოვნისა და საჩივრის განხილვის პროცედურების ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია მოთხოვნებისა და საჩივრების შეტანისა და განხილვის მარტივი და ნათელი პროცედურების არსებობასთან. მნიშვნელოვანია, რომ პროცედურები გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს როგორც პატიმრების, ისე პერსონალისათვის. აღნიშნული პროცედურა აერთიანებს რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს. ეს პირველ რიგში გულისხმობს საჩივრების განხილვის მექანიზმის არსებობის შესახებ პატიმართა ინფორმირებულობას, ადმინისტრაციის მხრიდან საჩივრებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას, საჩივრების შესაბამის რეგისტრაციასა და მათზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის მიერ მოთხოვნისა და საჩივრის შეტანის უფლება.[3] ევროპული ციხის წესები ხაზს უსვამს პატიმრისათვის საჩივრისა და მოთხოვნის შესატანად საკმარისი შესაძლებლობების უზრუნველყოფის აუცილებლობას.[4]

4.1.1. მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმირებულობა

მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების შესახებ პატიმართა ინფორმირება წარმოადგენს საქართველოს პატიმრობის კოდექსით გარანტირებულ უფლებას. აღნიშნული გულისხმობს დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულებას, გააცნოს პატიმრებს წერილობითი ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლებისა და გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული წესის თაობაზე[5]. წერა-კითხვის

[3] პატიმრობის კოდექსი, მე-14 მუხლი, პირველი ნაწილი, „ვ“ ქვეპუნქტი;
[4] ევროპული ციხის წესები, წესი 70.1;
[5] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 97, პირველი ნაწილი;

უცოდინარ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ზეპირი ფორმით[6], ხოლო არასრულწლოვანს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგები ფორმით [7].

პატიმრის ინფორმირების აუცილებლობა აგრეთვე ხაზგასმულია პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 35-ე და ევროპული ციხის წესების 30-ე წესში. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პატიმრების ინფორმირებას. კომიტეტმა აღნიშნა, რომ „პატიმართა უფლებებს არ ექნება დიდი მნიშვნელობა, თუ პატიმრებს არ ეცოდინებათ მათი არსებობის შესახებ.“ [8]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (Ciorap v Moldova) კონვენციის მე-3[9] და მე-8[10] მუხლების კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში განხილვისას მიიჩნია, რომ ციხის წესების შესახებ ინფორმაციის გაცემას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა პატიმრის უფლებების დასაცავად, შესაბამისად ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო პატიმრისათვის ციხის წესების ასლის გადაცემა მხედველობაში იქნა მიღებული სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის პროცესში.[11]

არასრულწლოვნებს (ისევე, როგორც მათ მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს) უნდა ჰქონდეთ საჩივრის კონფიდენციალურად წარდგენის შესაძლებლობა დამოუკიდებელი ორგანოს მიმართ. საჩივრები უნდა იყოს მარტივი, ეფექტიანი და შესაბამისი ფორმითა და ენით შედგენილი.[12]

მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს საშუალება, გაეცნოს წერილობით ინფორმაციას თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლებისა და გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული წესის თაობაზე[13].

ზემოთ მითითებული უფლების შესახებ პატიმართა ინფორმირებულობის საკითხზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ პატიმრების აბსოლუტური უმრავლესობა (97,6%) აცხადებს, რომ იცის საჩივრების შეტანის უფლების არსებობის შესახებ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც შეკითხვები შეეხება პატიმართა ინფორმირებულობის თვითშეფასებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რომელი უფლებების დარღვევა შეიძლება გახდეს საჩივრის შეტანის საფუძველი, რა პროცედურები ახლავს საჩივრის შეტანას, მის განხილვას და მასზე რეაგირებას - ამ შემთხვევაში, რესპონდენტების გაცილებით ნაკლები რაოდენობა მიიჩნევს თავს ინფორმირებულად, კერძოდ, რესპონდენტთა 36,9% აღნიშნავს, რომ ფლობენ მწირ ინფორმაციას, 8.5% მიუთითებს, რომ არ აქვს ინფორმაცია

[6] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 97, მეორე ნაწილი;

[7] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 97, მესამე ნაწილი;

[8] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი CPT, ანგარიში თურქეთის შესახებ, CPT/Inf (99) 2 პარ. 26;

[9] წამებისა და სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა;

[10] პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა;

[11] იხ. Ciorap v. Moldova, no.12066/02, § 122 , ECHR 2007;

[12]წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი, CPT standards CPT/Inf/C (2002),ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-standards-en-77 [ბოლოს ნანახია 08.10.2015];

[13] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 97, პირველი ნაწილი;

იმ უფლებების შესახებ, რომელთა დარღვევის გამოც შესაძლებელია საჩივრის შეტანა, ხოლო სრულყოფილად (20,5%) ან საკმარისად (33,0%) ინფორმირებულად ამ საკითხზე საკუთარ თავს მიიჩნევს 53.5%.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული სურათია სხვადასხვა ნიშნით დიფერენცირებულ რესპონდენტებს შორის:

ა) ქალ და მამაკაც პატიმართა შორის, იმ უფლებების შესახებ ინფორმირებულად, რომელთა დარღვევაზეც შესაძლებელია საჩივრის შეტანა, თავს მიიჩნევს ქალების 69.7%, რაც მამაკაცებში იმავე მონაცემს 17.7%-ით აღემატება.

ბ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმრები ბევრად უფრო ინფორმირებულად მიიჩნევენ თავს (75.7%), ვიდრე დახურული (50.4%) და ნახევრად ღია (55.2%) ტიპის დაწესებულების პატიმრები.

გ) ბრალდებულების 49% მიიჩნევს, რომ საკითხის შესახებ სრულყოფილი ან საკმარისი ინფორმაცია აქვთ; მსჯავრდებულებში ეს მაჩვენებელი თითქმის 5%-ით მაღალია და 54.6%-ს შეადგენს.

დაბალია ინფორმირებულობის თვითშეფასება, როდესაც საქმე ეხება იმ პროცედურების ცოდნას, რაც საჩივრის შესატანად უნდა შესრულდეს - 52% („მაქვს მწირი ინფორმაცია“ – 33.8%; „ინფორმაცია არ მაქვს“ – 18.2%). ხოლო სრულყოფილად (16,9%) ან საკმარისად (29,3%) ინფორმირებულად ამ საკითხზე საკუთარ თავს მიიჩნევს 53.5%.

აქაც მსგავსი სიტუაციაა ზემოთ გამოყენებული სამი ჭრილის - დაწესებულების ტიპის, სქესისა და პატიმრის სტატუსის – მიხედვით.

ა) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმრების 62.2% მიიჩნევს, რომ საკმარის ან სრულყოფილ ინფორმაციას ფლობს, როდესაც ეს მონაცემი 47.3%-მდე მცირდება ნახევრად ღია, ხოლო 43.8%-მდე – დახურული ტიპის დაწესებულების პატიმრების შემთხვევაში.

ბ) ქალი პატიმრების შემთხვევაში, ინფორმირებულად საკუთარ თავს მიიჩნევს 62.1%, ხოლო კაცი პატიმრების - 44.7%.


გ) მონაცემები განსხვავდება პატიმრის სტატუსის მიხედვითაც: ბრალდებულების შემთხვევაში, საკითხზე ინფორმირებულად საკუთარ თავს მიიჩნევს 31.4%, მსჯავრდებულთა - 38%.

პატიმრებში საკუთარი თავის ინფორმირებულად ჩათვლის კიდევ უფრო კლებულობს მაშინ, როდესაც შეკითხვა ეხება იმ პროცედურებს, რომლებიც საჩივრის განხილვასა და მასზე რეაგირებას ახლავს 61,2% („მაქვს მწირი ინფორმაცია“ – 32%; „ინფორმაცია არ მაქვს“ – 29.2%).

ამ საკითხზე ინფორმირებულობის თვითშეფასების მონაცემები სხვადასხვა ჭრილში შემდეგნაირია:

- დაწესებულების ტიპის მიხედვით: დახურული - 35.3%; ნახევრად ღია - 38.9%; არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო - 37.8%;
- სქესის მიხედვით: ქალი - 56.3%; კაცი - 35.7%;
- პატიმრის სტატუსის მიხედვით: ბრალდებული - 31.7%; მსჯავრდებული - 39.0%.

საბოლოო ჯამში, თუ ვიზუალურად გამოვსახავთ და შევადარებთ რესპონდენტთა ინფორმირებულობის თვითშეფასებას საჩივრის შეტანის უფლებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასეთ შედეგს მივიღებთ:



ზემოთ მოცემული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მართალია პატიმართა 97% აცხადებს, რომ ინფორმირებულია საჩივრის უფლების არსებობის შესახებ, თუმცა გაცილებით ნაკლებია ინფორმირებული, რა დარღვევებისთვის შეიძლება საჩივრის შეტანა, მის თანმხლებ პროცედურებზე, ასევე როგორია განხილვისა და რეაგირების თანმხლები პროცედურები.

ინფორმირებულობის თვითშეფასების გარდა, პატიმრებს დაესვათ რამდენიმე ტესტური ხასიათის შეკითხვაც, რომლებიც მათ ცოდნას ამოწმებდა. ეს შეკითხვები გაცილებით დეტალურ და ტექნიკურ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც შეიცავდა ფაქტობრივი ინფორმაციის ფლობის მოთხოვნას.

N	ტესტური შეკითხვები საჩივრის შეტანის პრაქტიკის ზოგიერთი თავისებურების შესახებ	სწორი პასუხების %	არასწორი პასუხების %	არ ვიცი %
1.	როდესაც საჩივრის შეტანის საფუძველია სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის ქმედება, სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება და მსჯავრდებულის უფლებათა ხელყოფა, რამდენი ხნის ვადაშია შესაძლებელი	2.6%	44.1%	53.3%


N	ტესტური შეკითხვები საჩივრის შეტანის პრაქტიკის ზოგიერთი თავისებურების შესახებ	სწორი პასუხების %	არასწორი პასუხების %	არ ვიცი %
	საჩივრის შეტანა?[14]			
2.	აქვს თუ არა პატიმარს უფლება, მოითხოვოს კონსულტაცია საჩივრის შედგენის, საჩივრის ადრესატის განსაზღვრის ან სხვა ტექნიკური საკითხის მოგვარების მიზნით?[15]	79%	1.5%	19.5%
3.	შეუძლია თუ არა პატიმარს, რომელიც არ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით როგორც საჩივრის შედგენისას, ისე საჩივარზე პასუხის გაცემისას?[16]	81%	1%	18%
4.	რამდენ ხანში უნდა გადაუგზავნოს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ შემოსული საჩივარი ადრესატს?[17]	16.4%	37.5%	44.6%
5.	იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ადრესატი სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორია, რამდენ დღეში უნდა განიხილებოდეს საჩივარი?[18]	30.4%	18.6%	51%
6.	იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ადრესატი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეა, რამდენ დღეში უნდა განიხილებოდეს საჩივარი?[19]	28.3%	18.7%	53%

[14] სწორი პასუხია: „3 თვის განმავლობაში“;
[15] სწორი პასუხია: „აქვს“;
[16] სწორი პასუხია: „შეუძლია“;
[17] სწორი პასუხია: „48 საათში”;
[18] სწორი პასუხია: საჩივრის მიღებიდან 5 დღის ვადაში, ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, 1 თვის ვადაში;
[19]სწორი პასუხია: “საჩივრის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, 1 თვის ვადაში“;

N	ტესტური შეკითხვები საჩივრის შეტანის პრაქტიკის ზოგიერთი თავისებურების შესახებ	სწორი პასუხების %	არასწორი პასუხების %	არ ვიცი %
7.	გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენ ხანში გადაეცემა მსჯავრდებულს საჩივრის განხილვის შედეგები?[20]	19.2%	31.3%	49.5%

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემები აჩვენებს, პატიმართა დიდი უმრავლესობა (საშუალოდ 80%) მარტივ შეკითხვებს (N2, 3) სწორად პასუხობს; რაც შეეხება შედარებით რთულ შეკითხვებს (N1, 4, 5, 6, 7), აქ რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა სწორ პასუხს ვერ იძლევა, აღნიშნავს, რომ „არ იცის“ სწორი პასუხი, ან ამ შეკითხვებს მცდარად პასუხობს.


სხვადასხვა ჭრილების (დაწესებულების ტიპი, სქესი და პატიმრობის სტატუსი) მიხედვით სწორი პასუხების მაჩვენებლები კი შემდეგნაირად გამოიყურება:



აღსანიშნავია მნიშვნელოვანი განსხვავება მონაცემებში სასჯელაღსრულების დაწესებულების ტიპის ჭრილში. თუ დახურული ტიპის დაწესებულებებში გამოკითხულთა საშუალოდ 38.7% პასუხობს კითხვებს სწორად (რაც ყველა ჯგუფში უმაღლესი შედეგია), არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში გამოკითხულთა მხოლოდ 33.2% იძლევა სწორ პასუხს, რაც დახურული ტიპის საპირისპიროდ, ყველა ჯგუფში ყველაზე დაბალი შედეგია.


[20] სწორი პასუხია: „არა უგვიანეს 5 დღისა“;

თუ ობიექტური ცოდნის განმსაზღვრელ კითხვებზე მიღებულ შედეგებს ინფორმირებულობის თვითშეფასების მონაცემებს შევადარებთ, ასეთ სურათს მივიღებთ:



ყველა ზემოთ მოცემულ შემთხვევებში რესპონდენტთა ინფორმირებულობის თვითშეფასება მკვეთრად აღემატება მათივე ობიექტურ ცოდნას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პატიმართა თვითშეფასება არაადეკვატურად მაღალია.

პატიმრებისათვის საჩივრების შეტანისა და მათზე რეაგირების პროცედურების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალური მუშაკები (46,4%) და სხვა პატიმრები (32,8%), ასევე, ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლები (10,1%), ადვოკატი (4,7) და სხვა პირები არიან.




კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვები იმის თაობაზე, თუ რამდენად მიიღეს მათ საჭირო ინფორმაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ფორმით:

N	სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ საჩივრის შეტანის უფლებისა და პროცედურების შესახებ პატიმრებისათვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ფორმით	დიახ	არა	არ მახსოვს	პასუხი არ არის	უარი პასუხზე
1	დაწესებულებაში შესვლის საწყის პერიოდში	43.2%	42.4%	12.7%	0%	1.6%
2	*(დაწესებულებაში)* წერილობითი სახით	26.3%	56.2%	12.0%	3.8%	1.7%
3	*(დაწესებულებაში)* ზეპირად	33.0%	50.2%	11.8%	3.4%	1.6%
4	*(დაწესებულებაში)* დეტალურად/სრულყოფილად	25.5%	54.2%	13.8%	4.8%	1.7%
5	*(დაწესებულებაში)* თქვენთვის გასაგებ ენაზე	39.0%	43.9%	10.8%	4.6%	1.7%
6	*(დაწესებულებაში)* პერიოდულად/განმეორებით	15.7%	68.3%	9.2%	4.7%	2.2%


როგორც ცხრილში არსებული მონაცემები აჩვენებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებების მხრიდან აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მიწოდება არ ხდება სათანადოდ და სისტემატიურად, რასაც მოწმობს შემდეგი:

ა) პატიმართა 42% აცხადებს, რომ დაწესებულებაში შესვლის საწყის პერიოდში საჩივრების შეტანის პროცედურების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია (გარდა ამისა, 13%-მდე ასეთ ფაქტს ვერ იხსენებს). ბ) ინფორმაცია წერილობით მიეწოდა პატიმართა 26%-ს, ხოლო ზეპირად - 33%-ს. გ) დეტალური ინფორმაცია პატიმართა მხოლოდ მეოთხედმა მიიღო (დამატებით, 14% ვერ იხსენებს, მიიღო თუ არა სრულყოფილი ინფორმაცია); დ) პატიმართა 44%-ისთვის მიწოდებული ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე არ ყოფილა; ე) ძალიან მცირეა იმ პატიმრების წილი (15.7%), რომლებიც საჩივრის შეტანის შესახებ ინფორმაციას არა ერთჯერადად, არამედ პერიოდულად იღებენ. აქვე აღსანიშნავია, რომ ცხრილ ჩამოთვლილ სიტუაციებზე უარყოფით პასუხს („არა“), საშუალოდ, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52.5%) აფიქსირებს.

მონაცემები დაწესებულებების ტიპისა და სქესის მიხედვით შემდეგნაირია:



იგივე ტენდენცია იკვეთება სქესის ჭრილში მონაცემთა განხილვის შემთხვევაშიც: ქალ პატიმართა ცოდნა, ობიექტურად, უფრო დაბალია, ვიდრე გამოკითხულ კაც პატიმართა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ინფორმაციის მიწოდების ყველა ასპექტთან (დრო, ფორმა) დაკავშირებით კაცი პატიმრები უფრო ხშირად აფიქსირებენ პოზიტიურ პასუხებს:



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტექნიკური კითხვების დასმის შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ პატიმართა უმრავლესობისთვის უცნობია პატიმრობის კოდექსში არსებული დებულებები საჩივრის შეტანის ზოგიერთი თავისებურების შესახებ. საჩივრის უფლების და შესაბამისი პროცედურების ცოდნის თვითშეფასება გაცილებით მაღალია პატიმართა ობიექტურ ცოდნასთან შედარებით. ყოველივე ეს კი მიუთითებს პატიმართა არასათანადო ინფორმირებულობაზე.

პატიმართა უფლებების შესახებ არასათანადო ინფორმირებულობის საკითხთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პატიმართა დაწესებულებაში მიღებისას უფლებების შესახებ ინფორმირების დამკვიდრებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა სათანადო ინფორმირებულობას მათ უფლებებზე და საჩივრის შეტანის და განხილვის პროცედურაზე. დაწესებულებაში მიღებულ პატიმარს წერილობით წარედგინება უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში პატიმრები ხელს არ აწერენ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მიღების დროს არსებული სტრესის ფონზე ძნელად წარმოსადგენია, რომ პატიმარმა მოახდინოს კონცენტრირება უფლებებისა და მოვალეობების ნუსხაზე და დაიმახსოვროს მიწოდებული ინფორმაცია. შესაბამისად, ხსენებული პრაქტიკა უფრო ფორმალური ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს უფლებების შესახებ პატიმრის სათანადო ინფორმირებას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმარს პატიმრობის შემდგომ ეტაპზე რეგულარულად მიეუწვდებოდეს ხელი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაციაზე. ამის საპირისპიროდ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებებში არც დერეფნებში და არც საცხოვრებელ საკნებში არ არის გამოკრული პატიმართა უფლებების ნუსხა, მათ შორის მოთხოვნა/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის თანმხლები პროცედურის შესახებ ინფორმაცია.

განხორციელებული ვიზიტების დროს აღმოჩნდა, რომ არცერთ პატიმარს არ აქვს საკანში წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პატიმრის უფლებების ნუსხას. აღნიშნული განაპირობებს უფლებების შესახებ პატიმრის ინფორმირებულობის პრობლემას.

ევროპული ციხის წესების[21] თანახმად, (წესი 30.1) „მიღებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ.“ (წესი 30.2) „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია.“

ბრალდებულს/მსჯავრდებულს, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო აქტებით ენიჭება შესაბამისი ორგანოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება, რაშიც პატიმარს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს. საჩივრით მიმართვის უფლების რეალიზება წარმოუდგენელია მოთხოვნის სათანადო სამართლებრივი დასაბუთების გარეშე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჰქონდეს შესაძლებლობა ფლობდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებს წერილობითი სახით, რათა შეძლოს საკუთარი არგუმენტაციის წარმოდგენა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით.

[21]ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა კომიტეტის მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე);

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა პატიმარს ხელზე გადაეცეს მათი უფლებების, მათ შორის, მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია. ამ მიზნით შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური პრაქტიკული ბროშურა**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა პატიმრისთვის ხელმისაწვდომი იყოს პატიმრობის კოდექსი, დაწესებულების დებულება და სხვა საკანონმდებლო აქტები**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა დაწესებულებაში, პატიმრისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში, მათ შორის საცხოვრებელ საკნებში, გამოეკრას (სხვადასხვა ენაზე) პატიმართა უფლებების/მოვალეობების და მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია**
- **გაიზარდოს სოციალური მუშაკის როლი; დაწესებულებაში მიღების შემდგომ უახლოეს რამდენიმე დღეში სოციალურმა მუშაკმა დეტალურად აუხსნას პატიმარს მისი უფლებები და მოვალეობები, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის შესახებ, განუმარტოს სოციალური მუშაკის კომპეტენცია და გადასცეს ყველა საჭირო, ძირითადი დოკუმენტი; სათანადო პერიოდულობით ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაოს პატიმრებთან მათი უფლებებისა და მოვალეობების, მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის თემატიკაზე**

4.1.2. მოთხოვნის/საჩივრის შეტანის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მოთხოვნის/საჩივრის შეტანის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარეშე პატიმარი ვერ შეძლებს პატიმრობის კოდექსით მინიჭებული მოთხოვნა/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზებას. მოთხოვნა/საჩივრის შეტანის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა მოიცავს წერილის დასაწერად აუცილებელი საშუალებებით მომარაგებას.

ევროპის ციხის წესების შესაბამისად პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი შესაძლებლობა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მიმართონ საჩივრით ან მოთხოვნით ციხის დირექტორს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.[22] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამისად, თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიმართოს განცხადებით ან საჩივრით ცენტრალურ საპატიმრო სამმართველოს, სასამართლო ხელისუფლებას ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს. ეს განცხადებები არ უნდა ექვემდებარებოდეს ცენზურას შინაარსის თვალსაზრისით, მაგრამ უნდა იყოს შედგენილი სათანადო ფორმით და დადგენილი წესით

[22] ევროპული ციხის წესები: წესი 70.1;

გაეგზავნოს საპატიმროთა ცენტრალურ სამმართველოს, სასამართლო ხელისუფლებას ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს''.[23]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში განხორციელებულ ვიზიტის შემდგომ ანგარიშში აღინიშნა, რომ კომიტეტის მიერ გამოკითხული პატიმრები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი საჩივრების განხილვის პროცედურის მიმართ. პატიმრების უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის ქონის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იყო ამის განხორციელება კალმის, ფურცლისა და კონვერტის ნაკლებობის გამო. აღნიშნულთან მიმართებაში, კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას, გადადგას ყველა ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს პატიმრის უფლება კონფიდენციალური საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით. [24]

დაწესებულების ადმინისტრაციამ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდებული/მსჯავრდებული უნდა უზრუნველყოს საჩივრის შესატანად საჭირო საშუალებათა აუცილებელი რაოდენობით, მათ შორის, ქაღალდით, კონვერტებით კონფიდენციალური საჩივრებისათვის, საწერი საშუალებებით და სხვა[25]. საჩივრის ადრესატის განსაზღვრის ან სხვა ტექნიკური საკითხის მოგვარების მიზნით ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს დაწესებულების სოციალური განყოფილების მუშაკის კონსულტაცია[26].

ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც არ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, არ ესმის სამართალწარმოების ენა, შეუძლია ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით[27]. ბრალდებულს/მსჯავრდებულს პასუხი გაეცემა საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პროცედურა[28].

საჩივრის შესატანად საჭირო საშუალებები (კონვერტი, საწერი ქაღალდი, საწერ-კალამი, საჩივრის ყუთი) ხელმისაწვდომი აღმოჩნდა პატიმართა საშუალოდ 90%-ისთვის. ამ საშუალებების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმწოდებელი სოციალური მუშაკია (დასახელდა შემთხვევათა 81%–ში). დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს მომწოდებლებში მიუთითებდა პატიმართა მხოლოდ 10% ასახელებს.

მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მონაცემები განსხვავებულია დაწესებულების ტიპების მიხედვით:

---

[23] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 36 (3);


[24] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, CPT, ანგარიში საქართველოს შესახებ, პარ. 93, (21 მარტი -2 აპრილი 2007), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2007-42-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 06.10.2015];

[25] პატიმრობის კოდექსი, 108 მუხლი, ნაწილი პირველი;

[26] იქვე, 99-ე მუხლი, ნაწილი პირველი;

[27] იქვე, მუხლი 101, ნაწილი პირველი;

[28] იქვე, მუხლი 101, ნაწილი მეორე;



პატიმრები საჩივრის შესატანად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების ძირითად წყაროდ ასახელებენ დაწესებულების სოციალურ მუშაკს (81%), ასევე, ხშირ შემთხვევაში (34,2 %), პატიმრები ამ ნივთებს თავადაც შეიძენენ (ამის თაობაზე გამოკითხულთა მესამედი მიუთითებს).

სხვადასხვა ჯგუფებში იკვეთება ზოგიერთი განსხვავება. მაგალითად, ქალი პატიმრები საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს 3-ჯერ უფრო ნაკლები სიხშირით შეიძენენ დაწესებულების მაღაზიაში, ვიდრე კაცები; ადმინისტრაცია არასრულწლოვნებს, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულების პატიმრებთან შედარებით, 8-ჯერ უფრო ხშირად აწვდის მატერიალურ–ტექნიკურ საშუალებებს, ხოლო დახურულთან შედარებით -3-ჯერ.

რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა იმის თაობაზე, ყოფილა თუ არა შემთხვევა ბოლო ორი წლის განმავლობაში, როდესაც მათ საჩივრის შეტანა სურდათ, მაგრამ არ ჰქონდათ ამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. პატიმართა გამოკვეთილმა უმრავლესობამ (72.6%-მა) დააფიქსირა, რომ ასეთი პრობლემა არასდროს არ შექმნიათ, 23.7%-ს კი ასეთი გამოცდილება ჰქონია სხვადასხვა სიხშირით.

ზემოთ მითითებული მონაცემებიდან დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის/საჩივრების შეტანის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა უმრავლეს შემთხვევებში ხდება დაწესებულების სოციალური სამსახურის მიერ, თუმცა ჯერ კიდევ არის შემთხვევები (23,7%), როდესაც პატიმრებს ბოლო ორი წლის მანძილზე სხვადასხვა სიხშირით არ ჰქონდათ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში[29] ვიზიტის დროს, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებებში არსებული საჩივრის ყუთების გარკვეული ნაწილი მოთავსებულია ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ, რაც იწვევს კონფიდენციალური საჩივრის ავტორის იდენტიფიცირებას.

[29] მაგალითად, N5 (პატიმრობის განყოფილება), N6, N7, N8, N18 დაწესებულებებში;

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ჩანს, რომ მონიტორინგის მიმდინარეობისას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზოგადად ხელმისაწვდომი იყო მოთხოვნის/საჩივრის შეტანისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. მიუხედავად ამისა, კვლავაც პრობლემად რჩება პატიმრის იდენტიფიცირების გარეშე კონფიდენციალური საჩივრის შესატანად საჭირო კონვერტისა და საჩივრების ყუთის ხელმისაწვდომობა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი)**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ისეთ ადგილზე და იმგვარად (მაგალითად, ბიბლიოთეკაში), რომ კონვერტის მიღება არ იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებზე დამოკიდებული და არ მოხდეს კონვერტის მიმღები პატიმრის იდენტიფიცირება. ამასთან, მიეცეთ პატიმრებს შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი**

4.1.3. მოთხოვნის/საჩივრის რეგისტრაცია და ადრესატისათვის გაგზავნა

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის შეფასებით, იმის გამო, რომ დაწესებულებაში არ ხორციელდებოდა საჩივრების რეგისტრაცია, კომიტეტის წევრები მოკლებულნი იყვნენ საჩივრების სისტემის ეფექტურობის შეფასების შესაძლებლობას. შესაბამისად, კომიტეტის მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია საჩივრების რეგისტრაციის შესახებ.[30]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ ფინეთისათვის მიცემულ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ ყველა წერილობითი საჩივარი ადრესატისთვის გაგზავნამდე დაწესებულებაში ცენტრალიზებულად რეგისტრირებული უნდა იყოს. [31]

ადმინისტრაციის სოციალური განყოფილება უზრუნველყოფს საჩივრების რეგისტრაციას[32]. ადმინისტრაცია ვალდებულია შემოსული საჩივარი მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გადაუგზავნოს ადრესატს.[33] არაკონფიდენციალური საჩივარი განსახილველად

[30] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში: წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი CPT, ვიზიტი ნიდერლანდებში, პარ. 186, 28 ნოემბერი 2014, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng/?i=p-nld-20140512-en-76 [ბოლოს ნანახია 05.10.2015];

[31] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი CPT, ანგარიში ფინეთის შესახებ, პარ. 90, 17 მარტი 2014), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng/?i=p-fin-20140922-en-27 [ბოლოს ნანახია 03.10.2015];

[32] იქვე. მუხლი 100, მეშვიდე ნაწილი;

[33] იქვე, 102-ე მუხლი, პირველი ნაწილი;


არ ეგზავნება იმ პირს ან მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ პირს, რომლის ქმედებასაც ეხება საჩივარი.[34]

პატიმრობის კოდექსის თანახმად, საჩივრის გადაგზავნიდან არაუგვიანეს მეორე დღისა საჩივრების ყუთთან გამოიკვრება გადაგზავნილი საჩივრის რეგისტრაციის ნომერი და შესაბამისი კონვერტის კოდი[35].

წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები განეკუთვნება განსაკუთრებულ შემთხვევას და დაუყოვნებლივ უნდა განიხილებოდეს[36].

მოთხოვნის შეტანით ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია მოითხოვოს იმგვარი უფლებები, რომელთა **მინიჭებაზეც** უფლებამოსილია ადმინისტრაცია.[37] ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოთხოვნა შეიტანოს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წერილობითი ფორმით. მოთხოვნა შეიძლება კონფიდენციალური იყოს.[38] მოთხოვნა რეგისტრირდება დაწესებულების კანცელარიაში, ხოლო რეგისტრაციის ნომერი გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს.[39]

კვლევის ფარგლებში პატიმრებს ცალ-ცალკე დაესვათ შეკითხვები იმის თაობაზე, ეცნობათ თუ არა მათ თავიანთი საჩივრის სარეგისტრაციო ნომერი როგორც ღია, ისე კონფიდენციალური საჩივრების შემთხვევაში.




როგორც მონაცემები აჩვენებს, როგორც ღია, ისე დახურულ საჩივრების შემტან პატიმართა უმრავლესობას ეცნობა საჩივრის რეგისტრაციის ნომერი. მიუხედავად ამისა, აშკარაა განსხვავებებიც: ყოველი მეხუთე პატიმარი (ვისაც ღია საჩივარი შეუტანია) აცხადებს, რომ მათთვის არასოდეს გამხდარა რეგისტრაციის ნომერი ცნობილი, მაშინ როდესაც


[34] იქვე, 102-ე მუხლი, მეოთხე ნაწილი;
[35] იქვე, 102-ე მუხლი, მესამე ნაწილი;
[36] პატიმრობის კოდექსი, 105-ე მუხლი, ნაწილი პირველი;
[37] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 95, პირველი ნაწილი;
[38] იქვე, მუხლი 95, მეორე ნაწილი;
[39] იქვე, მუხლი 95, მესამე ნაწილი;

კონფიდენციალურ საჩივართან მიმართებაში ასეთ ნეგატიურ პრაქტიკაზე ყოველი მესამე პატიმარი მიუთითებს.

მათ, ვისთვისაც საჩივრის სარეგისტრაციო ნომერი ცნობილი გახდა, დაესვათ შეკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ მიაწოდეს მათ ეს ინფორმაცია.




მონაცემები აჩვენებს, რომ როგორც ღია, ისე დახურულ საჩივრებთან დაკავშირებით, ყველაზე გავრცელებულია საჩივრის სარეგისტრაციო ნომრის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ორი გზა: 1) საკნებში ინფორმაციის მიწოდება და 2) პატიმრებისთვის სარეგისტრაციო ნომრის პირადად (სხვების დაუსწრებლად) თქმა.



კონფიდენციალური საჩივრის შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა (14.2%) ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა საჩივრის ყუთთან სარეგისტრაციო ნომრის გამოკვრა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობის კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საჩივრის გადაგზავნიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, საჩივრების ყუთთან გამოიკვრება გადაგზავნილი საჩივრის რეგისტრაციის ნომერი და შესაბამისი კონვერტის კოდი, ანუ ყველა შემთხვევაში უნდა გამოკრულიყო ყუთთან რეგისტრაციის ნომერი და პატიმრებს უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა ენახათ ეს ნომრები. როგორც კვლევა აჩვენებს, პატიმრების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ ამ ფორმით არ მიუღიათ რეგისტრაციის ნომრები. ყოველივე ეს კი პირდაპირ გამომდინარეობს იმ დამკვიდრებული პრაქტიკიდან, როდესაც პატიმრები კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნას ყუთის გამოუყენებლად, ძირითადად სოციალური

მუშაკისათვის ხელზე გადაცემის გზით ამჯობინებენ. როგორც ჩანს, პატიმრები შიშობენ, რომ საჩივრის ყუთის მეშვეობით მათი კონფიდენციალური საჩივარი ან საერთოდ არ გაიგზავნება, ან რეგისტრაციის ნომერი მათთვის არ გახდება ცნობილი.



კვლევა აჩვენებს, რომ პატიმართა ის ჯგუფი, ვისთვისაც საჩივრის სარეგისტრაციო ნომერი ცნობილი გახდა, უმეტეს შემთხვევაში (76.1%), თავად ითხოვს სარეგისტრაციო ნომერს. მხოლოდ 14% აღნიშნავს, რომ ნომერი მოთხოვნის გარეშე მიეცა, ხოლო 3% მიუთითებს, რომ ნომერი ადვოკატმა მოითხოვა.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმრებში, სხვა ჯგუფებთან და საერთო მონაცემებთან შედარებით, გაცილებით დიდია ადვოკატის როლი - შემთხვევათა ზუსტად ნახევარში ადვოკატი არასრულწლოვან პატიმართა მაგივრად ითხოვს სარეგისტრაციო ნომერს. შედარებისთვის, სხვა ტიპის დაწესებულებების (დახურული და ნახევრად ღია) პატიმრები ადვოკატს ასახელებენ შემთხვევათა 1.7%–ში (დახურული ტიპის დაწესებულების შემთხვევაში), ან 3.3%–ში (ნახევრად ღია ტიპის დაწესებულების შემთხვევაში).

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმარს ყველა შემთხვევაში, დროულად მიეწოდოს მოთხოვნის/საჩივრის რეგისტრაციის ნომერი; რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულების სოციალურმა მუშაკმა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რომ არ მოხდეს მოთხოვნის/საჩივრის შემტანი პატიმრის იდენტიფიცირება, ამასთან, დაიცვას მოთხოვნის/საჩივრის შინაარსის კონფიდენციალურობა**

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა კონფიდენციალური საჩივრების გაგზავნის შემდგომ, ყველა შემთხვევაში გამოიკრას რეგისტრაციის ნომრები საჩივრის ყუთთან; აღნიშნული პროცედურის შესახებ ყველა პატიმარს პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია, რათა მათ იცოდნენ და ჰქონდეთ მოლოდინი, რომ მათი მოთხოვნის/საჩივრის რეგისტრაციის ნომერი აუცილებლად გამოიკვრება საჩივრის ყუთთან**

4.1.4. საჩივრის შეტანის პრაქტიკა

საჩივრების შეტანის პრაქტიკის ანალიზის დროს ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ შიდა და გარე საჩივრები. კვლევის მიზნებისთვის შიდა საჩივრებში იგულისხმება ზოგადად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის შიგნით პატიმართა მიმართვიანობა, ხოლო გარე კორესპოდენციაში ისეთი ინსტიტუციებისთვის მიმართვა, როგორიცაა მაგალითად, პროკურატურა, სასამართლო, პარლამენტი, სახალხო დამცველის აპარატი და სხვა. კვლევის ძირითადი მიზანი იყო შიდა საჩივრების შეტანის პრაქტიკის ანალიზი, თუმცა მისი განხილვა გარე საჩივრების განხილვის გარეშე არ იქნებოდა სრულყოფილი. შესაბამისად, სოციოლოგიური გამოკითხვა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ შიდა საჩივრების შეტანის პრაქტიკით.


2015 წლის 1 ივლისამდე მოქმედი პატიმრობის კოდექსის 109-ე მუხლის თანახმად,[40] 6 თვეში ერთხელ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იხილავს და აანალიზებს დაწესებულებაში შემოსულ მოთხოვნებს/საჩივრებს, რის შესახებაც მზადდება ანგარიში და წარედგინება დეპარტამენტის თავმჯდომარეს და მინისტრს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015 წლის 28 სექტემბერს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოგზავნილი MCLA 2 15 00829158 წერილის თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს 2015 წელს აღნიშნული ანგარიში არ მოუმზადებია. დღეს მოქმედი პატიმრობის კოდექსიდან კი საერთოდ ამოღებულია 109-ე მუხლი. შესაბამისად, ამჟამად პენიტენციურ დეპარტამენტს არ აქვს ვალდებულება განიხილოს და გაანალიზოს დაწესებულებაში შემოსული მოთხოვნა/საჩივრები და მოამზადოს შესაბამისი ანგარიში. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ შიდა საჩივრებთან დაკავშირებული სტატისტიკა უნდა

[40] ამჟამად აღნიშნული ნორმა ამოღებულია პატიმრობის კოდექსის 109-ე მუხლიდან;

გამოიყენებოდეს როგორც ინდიკატორი, ციხეში უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების შესაფასებლად.[41]

კვლევა მიზნად ისახავდა იმის შესწავლას, თუ რა სიხშირით, როგორ და რატომ შეაქვთ პატიმრებს საჩივრები. გამოკითხულ პატიმართა ნახევარზე მეტი (52,8%) აღნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში შეიტანა საჩივარი/საჩივრები.

სხვადასხვა ჭრილში (დაწესებულების ტიპი, სქესი და პატიმრის სტატუსი) მონაცემები განსხვავებულია:



დაწესებულების ტიპის მიხედვით, უფრო აქტიურად საჩივრები შეაქვთ ნახევრად ღია დაწესებულების პატიმრებს (56.1%). მათი მაჩვენებელი საჩივრების შეტანის საერთო მაჩვენებელს (52.8%) აღემატება. საპირისპირო ვითარებაა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მონაცემებში, სადაც საჩივრების შეტანის შესაძლებლობის გამოყენება გამოკითხულთა მხოლოდ დაახლოებით 19%-მა დააფიქსირა, რაც საერთო მაჩვენებელზე თითქმის 3-ჯერ დაბალია.

მონაცემების მიხედვით, ქალებთან შედარებით (44.8%), დაახლოებით 9%-ით მეტია საჩივრების შემტან მამაკაც პატიმართა რაოდენობა (53.5%). რაც შეეხება პატიმართა სხვადასხვა სტატუსს, მსჯავრდებულები აქტიურად მიმართავენ საჩივრის შეტანის პრაქტიკას. მათგან განსხვავებით, ბრალდებულებში ეს პრაქტიკა ნაკლებადაა გამოყენებული (31.1%).

როგორც კვლევამ აჩვენა, პატიმრები ძირითადად საჩივრის ღია ფორმას მიმართავენ (71.9%–ს მხოლოდ ღია საჩივარი აქვს შეტანილი, ხოლო დამატებით 15.5%–ს – უმეტესად ღია). მეტწილად კონფიდენციალური ან მარტო კონფიდენციალური საჩივრების ტიპს პატიმრების მხოლოდ 10.4% მიმართავს. ეს ტენდენცია პატიმართა ყველა ჯგუფში მეტ-ნაკლებად

[41] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი CPT, ანგარიში ფინეთის შესახებ, პარ. 90, 17 მარტი 2014), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng/?i=p-fin-20140922-en-27 [ბოლოს ნანახია 03.10.2015];

შენარჩუნებულია; გამონაკლისია მხოლოდ არასრულწლოვანთა ჯგუფი, რომელშიც საჩივრების მხოლოდ ღია ტიპის გამოყენება დასტურდება.

სხვადასხვა ჭრილის მიხედვით მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ:

- არასრულწლოვანთა დაწესებულების პატიმრებს გაცილებით უფრო იშვიათად შეაქვთ საჩივრები, ვიდრე დახურული ან ნახევრად ღია დაწესებულებების სრულწლოვან პატიმრებს (არასრულწლოვანთა დაწესებულების რესპონდენტთა 71.4% ამბობს, რომ უფრო იშვიათად შეუტანია საჩივარი, ვიდრე წელიწადში რამდენჯერმე; ამავე სიხშირეზე მიუთითებს დახურული დაწესებულების სრულწლოვანთა 26%, ხოლო ნახევრად ღია დაწესებულების სრულწლოვანთა – 44.7%).

- საჩივრების შეტანის ყველაზე დიდი სიხშირით გამოირჩევიან დახურული ტიპის დაწესებულების პატიმრები: მათ მეოთხედს (25.8%) საჩივარი კვირაში ან თვეში რამდენჯერმე შეუტანია.

- მამაკაცებს უფრო ხშირად შეაქვთ საჩივარი, ვიდრე ქალებს (ქალი პატიმრების 46.2% აცხადებს, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში, წელიწადში რამდენჯერმეც კი არ შეუტანია საჩივარი,მაშინ როდესაც მამაკაცთა ჯგუფში ასეთთა რაოდენობა 37.5%–ია).

- ბრალდებულებს უფრო ხშირად შეაქვთ საჩივრები, ვიდრე მსჯავრდებულებს: 6 თვეში რამდენჯერმე და უფრო ხშირად (კვარტალში, თვეში ან კვირაში რამდენჯერმე) საჩივარი შეუტანია ბრალდებულთა 47.3–ს%, ხოლო მსჯავრდებულთა – 31%–ს (ჯამში).

პატიმრები ძირითადად საჩივრის ღია ფორმას მიმართავენ (71.9%–ს მხოლოდ ღია საჩივარი აქვს შეტანილი, ხოლო 15.5%–ს – უმეტესად ღია). მეტწილად კონფიდენციალური ან მარტო კონფიდენციალური საჩივრები პატიმართა მხოლოდ 10.4%–ს აქვს შეტანილი. ინდივიდუალური საჩივრების ტიპის წილი ბევრად აღემატება ჯგუფურს. მხოლოდ ინდივიდუალური საჩივარი რესპონდენტების დიდ უმრავლესობას (86.5%) შეუტანია, ხოლო მხოლოდ ჯგუფური – 2.1%–ს. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში საერთოდ არ გვხვდება კონფიდენციალური ან ჯგუფური საჩივრების გამოყენება.

- დაწესებულების ტიპებს შორის ყველაზე მეტი ღია საჩივარი (საშუალოდ 36) შეტანილი აქვთ დახურული ტიპის დაწესებულებების პატიმრებს.

- სქესის მიხედვით, უფრო მეტი ღია საჩივარი (საშუალოდ 22) შეტანილი აქვთ მამაკაცებს.


- პატიმრობის სტატუსის მიხედვით, უფრო მეტი ღია საჩივარი (საშუალოდ 24) შეტანილი აქვთ მსჯავრდებულ პატიმრებს.

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, თუ რა გახდა პატიმრების საჩივრების საგანი ბოლო 2 წლის განმავლობაში: განაჩენის/ბრალდების გადასინჯვა (47%), არასათანადო სამედიცინო მომსახურება (30,1%), შეწყალებაზე უარის თქმა (17,3%), სხვა დაწესებულებაში გადაყვანის

მოთხოვნა (16,9%), პატიმრის მიმართ წამების მეთოდების გამოყენება (11,7%), პატიმრის ღირსების შემლახავი მოპყრობა (11,6%) და სხვა საკითხები.

საჩივრების მიზეზების სიმრავლიდან გამომდინარე, მათი ადრესატიც მრავალია: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე (14%), დაწესებულების დირექტორი (12,3%), სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი (9,9%), საქართველოს პრეზიდენტი/პრეზიდენტის აპარატი (9,3%), საქართველოს სახალხო დამცველი (9%), პროკურატურა (6,6%) და სხვა ადრესატები.

შეკითხვას, თავად რამდენად ხშირად წერდნენ საჩივრებს ბოლო ორი წლის განმავლობაში და სჭირდებოდათ თუ არა სხვების დახმარება, შემდეგი პასუხები გაეცა.



თუ აღნიშნულ მონაცემებს სხვადასხვა ჭრილში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს იძლევა მხოლოდ დაწესებულების ტიპის და სქესის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფები:

- დახურული ტიპის დაწესებულების პატიმართა 66.2%, ხოლო ნახევრად ღია ტიპის სრულწლოვან პატიმართა 64.3% აღნიშნავს, რომ საჩივარს ყოველთვის თავად წერს, მაშინ როდესაც იგივე პრაქტიკას არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმართა მხოლოდ 14.3% მიმართავს (ამ ჯგუფის 85.7% აცხადებს, რომ საჩივარს არასდროს წერს დამოუკიდებლად, აქედან ნახევარს საჩივრის შედგენაში ეხმარებიან, მეორე ნახევრის შემთხვევაში კი საჩივარი მათ მაგივრად სხვას შეაქვს).

- ქალი პატიმრების 60% საჩივარს ყოველთვის ან უმეტესწილად თავად წერს. რაც შეეხებათ კაც პატიმრებს, ეს მაჩვენებელი მათში 70.8%-ია.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პატიმართა გამოკვეთილი უმრავლესობა (თითქმის 64%), ბოლო 2 წლის განმავლობაში, ყოველთვის თავად წერს საჩივარს და დაახლოებით მეოთხედია ისეთი, ვინც არასოდეს წერს საჩივარს დამოუკიდებლად და სხვას დაიხმარს (ან მათ მაგივრად საჩივარი სხვა პირებს შეაქვთ). საბოლოო ჯამში, ბოლო ორი წლის განმავლობაში სხვისი დახმარება საჩივრების შეტანაში (სხვადასხვა სიხშირით) პატიმართა დაახლოებით 34%–ს დასჭირდა.

მათ, ვინც აღნიშნა, რომ სხვა პირებს საჩივრის დაწერაში დახმარება გაუწევიათ ან საჩივარი მათ ნაცვლად შეუტანიათ, უპასუხეს შეკითხვებს იმის თაობაზე, თუ რა მიზეზით დასჭირდათ დახმარება. დახმარების საჭიროება უმრავლეს შემთხვევაში გამოწვეული იყო იმით, რომ 51,7 % -ს გაუჭირდა საჩივრის ფორმულირება. ხოლო შემთხვევათა 18.1%-ში მიზეზად დასახელდა ტექნიკური უნარ-ჩვევების არქონა (გამართულად წერა-კითხვის არცოდნა, ქართული ენის არცოდნა).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ერთსა და იმავე საკითხზე საჩივრის ერთზე მეტჯერ შეტანის მიზეზი ყველაზე ხშირად საჩივარზე არასათანადო/არაეფექტური რეაგირებაა, რაც გულისხმობს როგორც პრობლემის სრულად მოუგვარებლობას (49%), ისე საჩივრის გამომწვევი პრობლემის კვლავ აქტუალურობას (13.4%); ეს ნიშნავს იმას, რომ საკითხი ან რეაგირების გარეშე დარჩა, ან დროებით/ერთჯერადად გადაწყდა და მოგვიანებით კვლავ იჩინა თავი. საჩივრის განმეორებით შეტანის ერთ–ერთი უმთავრესი მიზეზია ისიც, რომ საჩივარზე უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს პატიმრობის კოდექსის 98-ე მუხლში არსებულ ჩანაწერზე, რომლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს, თუ საჩივარი უკავშირდება სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურის საქმიანობას.[42] ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე გაასაჩივროს დეპარტამენტის დირექტორთან, აგრეთვე, იმ საჩივრით, რომელიც უკავშირდება სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის საქმიანობას, მიმართოს დეპარტამენტის დირექტორს.[43] ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, იმ საჩივრით, რომელიც უკავშირდება დეპარტამენტის დირექტორის საქმიანობას, მიმართოს მინისტრს.[44]“ უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული რეგულაციის პრაქტიკაში იმპლემენტაცია გამოიწვევს დამატებით ბარიერებს საჩივრის განხილვის პროცესში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, პირდაპირ მიმართოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს ყოველგვარი ქვედა ინსტანციების გავლის მოთხოვნის გარეშე.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- **შეიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის 98-ე მუხლში, რათა ყველა პატიმარს ჰქონდეს შესაძლებლობა, პირდაპირ მიმართოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს ყოველგვარი ქვედა ინსტანციების გავლის მოთხოვნის გარეშე**
- **განხორციელდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ვალდებულება,**

[42] იქვე, 96-ე მუხლი, ნაწილი პირველი;
[43] იქვე, 96-ე მუხლი, ნაწილი მეორე;
[44] იქვე, 96-ე მუხლი, ნაწილი მესამე;

პატიმრებში უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით, სათანადო პერიოდულობით, განახორციელოს საჩივრების/მოთხოვნების ანალიზი

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმრებმა სრულყოფილად შეძლონ მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზება; აღნიშნული მიზნის მისაღწევად რეკომენდებულია გაიზარდოს სოციალური მუშაკის როლი მოთხოვნის/საჩივრის ფორმულირებისა და შესაბამისი ადრესატის შერჩევის პროცესში, ქართული ენის არმცოდნე პატიმრები უზრუნველყოფილი იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით, ასევე სხვადასხვა ენაზე შემუშავდეს და პატიმრებს გადაეცეთ ბროშურა, რომელშიც დეტალურად, მარტივად გასაგებ ენაზე ახსნილი იქნება მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია**

4.2. მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურა

წამების წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლებით ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლება, მომჩივნისა და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისგან დაცვა, აგრეთვე, წამების მსხვერპლთათვის სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის უზრუნველყოფა.[45]

საგულისხმოა, რომ პატიმრების მოთხოვნებისა და საჩივრების უმეტესობა ადმინისტრაციულ საკითხებს ეხება. ობიექტურად, მრავალი მათგანი ყოვლად უმნიშვნელო ხასიათისაა, თუმცა, მომჩივანი პატიმრისათვის მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოთხოვნები/საჩივრები შესაძლებელია ეხებოდეს საკვებს, დაკარგულ ნივთებს, დაგვიანებულ კორესპონდენციას, პრობლემებს ვიზიტებისას ან თავად ციხის პერსონალის დამოკიდებულებას. ხშირად პატიმრები ითხოვენ მხოლოდ იმის აღიარებას, რომ ესა თუ ის ფაქტი/მოვლენა არასწორი იყო და ელიან ბოდიშის მოხდას. თუკი პატიმარი დაინახავს, რომ მისი საჩივარი განიხილება პატიოსნად და გულწრფელად, ალბათობა იმისა, რომ იგი ისევ უკმაყოფილო იქნება, საკმაოდ მცირეა.[46]

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 35-ე და ევროპული ციხის წესების 30-ე წესის შესაბამისად, პატიმრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია გასაჩივრების ნებადართულ საშუალებებზე. წინამდებარე წესები მიზნად ისახავს დაეხმაროს პატიმარს,

[45] „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია“, რეზოლუცია მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის 10 დეკემბერს, A/RES/39/46;

[46] ენდრიუ კოილი, „პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან“, გვ. 114, 2000 წელი;

რათა კარგად გააცნობიეროს საკუთარი უფლებები და შეეგუოს საპატიმროში ცხოვრების პირობებს. შეუძლებელია აღნიშნული დანაწესების სრულფასოვანი შესრულება მომჩივანთათვის, შესაბამისი დროული, კონფიდენციალური და უსაფრთხო, მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურების უზრუნველყოფის გარეშე.

მოცემულ თავში განხილულია, მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის, როგორც სამართლებრივი, ისე სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი პრაქტიკული ასპექტები. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა 36,6% საჩივრის შეტანის, განხილვისა და რეაგირების პროცედურებთან დაკავშირებით თავს ინფორმირებულად მიიჩნევს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტურად, პატიმართა ობიექტური ცოდნა აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით საკმაოდ დაბალია. წინამდებარე მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს მარტივი და ქმედითი პროცედურების დანერგვის მნიშვნელობას. ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში წარმოდგენილი იქნება მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის ანალიზი ვადების, კონფიდენციალურობისა და საჩივრის უსაფრთხოდ წარდგენის კუთხით.

4.2.1. ვადები

მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია მოთხოვნის/საჩივრის განხილვის ვადები. იმისათვის, რომ არსებობდეს საჩივრების განხილვის ქმედითი სისტემა, აუცილებელია არსებობდეს მოთხოვნა/საჩივარზე რეაგირების მკაფიოდ განსაზღვრული ვადები. ევროპული ციხის წესების შესაბამისად, საჩივრის განხილვის უფლება მოიცავს, როგორც საჩივრის და მოთხოვნის შეტანას შესაბამისი კომპეტენტური ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, ასევე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მხრიდან გონივრულ ვადაში სწრაფ რეაგირებას.[47]

მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნისა და საჩივრის განხილვის პროცედურაში მითითებული იყოს, თუ რა დრო დასჭირდება პასუხის გაცემას.[48] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საჩივრების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა, როგორც ციხის შიგნით, ისე მის გარეთ.[49]

შიდა საჩივრები სწრაფად უნდა დამუშავდეს, ნებისმიერი შეფერხება კი წერილობით უნდა დასაბუთდეს. ყველა პატიმარს დროულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია იმ ნაბიჯების

[47] ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული კომისია, „პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა თავისუფლებააღკვეთილ პირთა შესახებ ამერიკაში“, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.oas.org/en/iachr/mandate/Basics/principlesdeprived.asp [ბოლოს ნანახია 14.09.2015];

[48] ენდრიუ კოილი, „პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან“, გვ. 114, 2000 წელი;

[49] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2014 წლის 28 დეკემბერი, ჰოლანდიაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/, პარ. 186, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-nld-20140512-en-76 [ბოლოს ნანახია 17.07.2015;

შესახებ, რომლებიც გადადგმულია მათი საკითხების განსახილველად, ან საჩივრის განუხილველობის მიზეზების შესახებ.[50]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია სისტემატური რეგისტრაციისა და საჩივრების სწრაფი განხილვის პოლიტიკის გატარება. საჩივრებისადმი სტრუქტურირებული მიდგომა შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს საკითხების იდენტიფიკაციისათვის.[51]

საქართველოს პატიმრობის კოდექსის საანგარიშო პერიოდში მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველზე ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია მოითხოვოს იმგვარი უფლებები, რომელთა მინიჭებაც ადმინისტრაციის დისკრეციას განეკუთვნება[52] ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოთხოვნით მიმართოს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებულია წერილობით უპასუხოს მას 5 დღის ვადაში. [53]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია შეიტანოს განცხადება, რომელიც წარმოადგენს უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილ წერილობით მოთხოვნას.[54] ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არ ეხება მესამე პირის ინტერესებს, უნდა გამოიცეს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.[55]

პატიმრობის კოდექსის თანახმად, დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი საჩივარს განიხილავს მიღებიდან 5 დღის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 1 თვისა, რის შესახებაც განმცხადებელს დაუყოვნებლივ ეცნობება ზეპირი ან წერილობითი ფორმით.[56] დეპარტამენტის თავმჯდომარე განიხილავს საჩივარს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააგრძელოს საჩივრის განხილვის ვადა არა უმეტეს 1 თვისა, რის შესახებაც წერილობით ეცნობება განმცხადებელს.[57]

---

[50] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი CPT, ანგარიში ფინეთის შესახებ, პარ. 90, 17 მარტი 2014), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng/?i=p-fin-20140922-en-27 [ბოლოს ნანახია 03.10.2015];

[51] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი CPT, ანგარიში ფინეთის შესახებ, პარა 70, 24 ივლისი 2008), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-dnk-20080211-en-25 [ბოლოს ნანახია 04.10.2015];

[52] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 95 ნაწილის 1; 2015 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქციით;

[53] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 95 ნაწილის მე-3; 2015 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქციით;

[54] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, და ამავე კოდექსის მე-100 მუხლი;

[55] იქვე, მესამე ნაწილი;

[56] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 103, I ნაწილი 2015 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქციით;

[57] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 103, I ნაწილი 2015 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქციით;

ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გაგზავნილი საჩივრის განხილვის ვადებს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. ამ კანონის 138-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე მეტ დროს საჭიროებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 7 დღისა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვისა.

აღსანიშნავია, რომ საჩივრების, მოთხოვნისა და განცხადების განხილვის სხვადასხვა ვადების პირობებში, მნიშვნელოვანია, პენიტენციური სისტემის სხვადასხვა ერთეულმა დროულად მოახდინოს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნისა და საჩივრის, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარე განცხადების დიფერენცირება და თითოეულზე დადგენილ ვადაში მოახდინოს რეაგირება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული საქმის წარმოების მასალების ანალიზმა ცხადყო, რომ უმეტეს შემთხვევაში მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების ადრესატი პენიტენციური სისტემის ერთეულები ძალიან მოკლე ვადებში უგზავნიან პატიმარს პასუხს, თუმცა ეს პასუხიც უმეტესწილად წარმოადგენს არა მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ უფრო შუალედურ პასუხს, რომელიც ადასტურებს, რომ ადრესატმა მიიღო პატიმრის მოთხოვნა/საჩივარი/განცხადება. ასე მაგალითად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნის შემთხვევაში პატიმარს უგზავნის შაბლონურ წერილს, სადაც მითითებულია, რომ იმ დაწესებულებიდან პატიმართა მოთხოვნილ დაწესებულებაში ეტაპირებისას, სადაც პატიმარი იმყოფება, „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა განსაზღვრული სასჯელის ზომის, თავისუფლების აღკვეთის ტიპის და დაწესებულების ლიმიტის გათვალისწინებით მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.“ მოწოდებულ მასალაში ვერ მოიძებნა, როდის იქნა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული და ეცნობა თუ არა პატიმარს ამ გადაწყვეტილების შესახებ. ეს პრაქტიკა უკმაყოფილებას იწვევს პატიმრებში და ხელს უწყობს მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურის მიმართ პატიმართა ნდობის დაკარგვას.

საქმის წარმოების მასალების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში პატიმრის საჩივრის/განცხადების სხვა ადრესატთან გადამისამართების შესახებ ეცნობება პატიმარს, თუმცა მოწოდებული მასალიდან არ დგინდება, ეცნობა თუ არა პატიმარს საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

განხორციელებული ცვლილების შემდეგ, პატიმრობის კოდექსის 103-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დეპარტამენტის დირექტორი საჩივარს განიხილავს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. დეპარტამენტის დირექტორი უფლებამოსილია გააგრძელოს საჩივრის განხილვის ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღით. ვადის გაგრძელების შესახებ წერილობით ეცნობება საჩივრის ავტორს. დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესაძლებლობა ერთი თვიდან 10 დღემდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა[58] და გენერალური ინსპექციის[59] მიერ საჩივრის განხილვის ვადები პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული არ არის. ერთ-ერთ შემთხვევაში, პატიმარს სამედიცინო დეპარტამენტის პასუხი ეცნობა 2 თვისა და 20 დღის შემდეგ და ეს მაშინ, როდესაც სამედიცინო დეპარტამენტის წერილი განხილვის ვადის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ მოწოდებულ მასალაში არ იძებნება. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, მართალია მოთხოვნაზე/საჩივარზე/განცხადებაზე დროული რეაგირება უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს, მაგრამ განხილვის ვადის შემცირებამ, არცერთ შემთხვევაში უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს საჩივრის სრულყოფილ განხილვაზე.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის, მკაცრი კონტროლის დაწესებით, რათა საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მოხდეს მომჩივნის/განმცხადებლის წერილობით, სათანადო ინფორმირება ვადის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ**
- **მოხდეს თითოეული წერილობითი კორესპონდეციის შესწავლა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კორესპონდენციაში მითითებული თითოეული საკითხის როგორც პატიმრობის კოდექსის 95-ე და 96-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის ან საჩივრის, ან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული განცხადების იდენტიფიცირება და კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ვადებში განხილვა; თუ რომელიმე საკითხის განხილვა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტრუქტურულ ერთეულთა კომპეტენციას აღემატება, ასეთი საკითხი გადაიგზავნოს ქვემდებარეობით შესაბამის ორგანოში, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობოს**

[58] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის ვადები არც პატიმრობის კოდექსით და არც სამედიცინო დეპარტამენტის დებულებით არ არის განსაზღვრული;

[59] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის როგორც ძველი, ასევე 2015 წლის 25 ივნისს დამტკიცებული დებულების თანახმად, სამსახურებრივი შემოწმების ვადის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. გამონაკლის შემთხვევებში, გენერალური ინსპექციის უფროსთან შეთანხმებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 3 თვემდე;

მომჩივანს/განმცხადებელს, ქვემდებარეობით გადაგზავნის შემთხვევაში მომჩივანს/განმცხადებელს სათანადოდ განემარტოს სამართლებრივი საფუძველი

- უზრუნველყოფილ იქნას პატიმრობის კოდექსის 95-ე და 96-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების და საჩივრების, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული განცხადებების სტატისტიკური მონაცემების წარმოება და ანალიზი
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა შაბლონური პასუხების გაცემის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- პატიმრობის კოდექსში განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრის/განცხადების განხილვის გონივრული ვადა
- პატიმრობის კოდექსში განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადა

4.2.2 კონფიდენციალურობა

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის განმარტებით, პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ კონფიდენციალური საჩივრის შეტანის უფლებით.[60] გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობის შესაბამისად, თუკი მომჩივანი ამას მოითხოვს, მისი საჩივრის კონფიდენციალურობა დაცული უნდა იყოს.[61] ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე, კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell v the United Kingdom), აღნიშნა, რომ გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც კორესპონდენციის გახსნა აუცილებელია იმ პირის ვინაობის დასადგენად, ვისთვისაც განკუთვნილია აღნიშნული კორესპონდენცია, მაგრამ ეს მხოლოდ პატიმრის თანდასწრებით უნდა გაკეთდეს.[62]

წამების წინააღმდეგ ევროპის კომიტეტი აღნიშნავს, რომ საჩივრების ფორმებისა და კონვერტების კონფიდენციალური ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს

[60] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2014 წლის 28 დეკემბერი, ჰოლანდიაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/, პარ. 186, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-nld-20140512-en-76 [ბოლოს ნანახია 17.07.2015;


[61] გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა (1989); (Body of Principles of the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment), პრინციპი 33;

[62] იხ. Campbell v. UK, appl. no. 13590/88, § 48 , ECHR 1992;

პატიმრებისათვის რომელიმე ადგილზე (მაგ. ბიბლიოთეკაში).[63] მნიშვნელოვანია, შემუშავდეს კონფიდენციალური საჩივრების შეტანის ისეთი სისტემა, რომელიც აარიდებს პატიმრებს კონფიდენციალური საჩივრის კონვერტის გადაცემას ციხის თანამშრომლების მეშვეობით.[64]

ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შესაბამისად დადგინდა, რომ პატიმრები ძირითადად საჩივრის ღია ფორმას მიმართავენ (71.9%–ს მხოლოდ ღია საჩივარი აქვს შეტანილი, ხოლო 15.5%–ს – უმეტესად ღია). მეტწილად კონფიდენციალური ან მარტო კონფიდენციალური საჩივრები პატიმართა მხოლოდ 10.4%–ს აქვს შეტანილი.

შეკითხვაზე, კონკრეტულად რამდენი კონფიდენციალური საჩივარი შეუტანიათ ბოლო ორი წლის განმავლობაში, პატიმრები შემდეგნაირად პასუხობენ:



როგორც მონაცემები აჩვენებს, ორივე ტიპის (ღია, კონფიდენციალური) საჩივრების შემთხვევაში, რაოდენობა საკმაოდ დივერსიფიცირებულია. თუმცა, საჩივრების შემტანი პატიმრების უმრავლესობის (დაახლოებით 60%) მიერ შეტანილი ღია საჩივრების რაოდენობა მერყეობს 1–6 საჩივრის ფარგლებში, ხოლო კონფიდენციალური საჩივრების რაოდენობა შეუდარებლად მცირეა. თუ შეტანილი საჩივრების რაოდენობის საშუალო მაჩვენებლებს დავთვლით, ღია საჩივრების საშუალო რაოდენობაა - 21, ხოლო კონფიდენციალურის - 5.

კონფიდენციალური საჩივრების გამოყენების ასეთი მცირე მაჩვენებლიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ, რით არის განპირობებული კონფიდენციალური საჩივრის ასეთი მცირე რაოდენობით გამოყენება.

[63] წამების წინააღმდეგ კომიტეტის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში: 1990 CPT/Inf (91) 15 | Section: 44/57 | Date: 27/03/1991;
[64] იქვე;

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეიტანოს კონფიდენციალური საჩივარი. პენიტენციურ დაწესებულებებში კონფიდენციალურად საჩივრის გაგზავნა შესაძლებელია სპეციალური დახურული კონვერტების საშუალებით, რომლებიც თავსდება საჩივრების ყუთში ან ისინი გადაეცემა სოციალურ მუშაკს. აღსანიშნავია, რომ საჩივრების ყუთი ფუნქციონირებს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, თუმცა ჩატარებული კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულის შესახებ პატიმართა გარკვეული ნაწილი ინფორმირებული არ არის.

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (81.2%) აღნიშნავს, რომ მათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფუნქციონირებს საჩივრების ყუთი, კონფიდენციალური საჩივრების შესატანად. 2.8% ამბობს, რომ ასეთი ყუთი მათ დაწესებულებაში არ არის; თითქმის 15%-ს გაუჭირდა იმის თქმა, ფუნქციონირებს თუ არა საჩივრების ყუთი მათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

დაწესებულების ტიპის ჭრილში სხვებისგან განსხვავებული მონაცემები გამოვლინდა დახურული დაწესებულების პატიმრებში, რომელთა თითქმის მეოთხედმა საჩივრის ყუთზე შეკითხვას პასუხი ვერ გასცა. კიდევ უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი („მიჭირს პასუხის გაცემა“) ბრალდებულებში, რომელთა ყველაზე ნაკლები ნაწილი (62%) ადასტურებს მათ დაწესებულებაში ყუთის ფუნქციონირებას პატიმართა სხვა ჯგუფებთან შედარებით.

ამდენად, ნათელია, რომ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, პატიმრები უფრო მეტად არიან ინფორმირებული საჩივრების ყუთების შესახებ, ვიდრე დახურულ და პატიმრობის დაწესებულებებში, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ნახევრად ღია დაწესებულებაში პატიმრები თავისუფლად გადაადგილდებიან დაწესებულების ტერიტორიაზე, მათ შორის იმ ადგილებში, სადაც საჩივრების ყუთებია დამონტაჟებული, ხოლო დახურულ და პატიმრობის დაწესებულებებში პატიმრებს საჩივრების ყუთების შესახებ ინფორმაცია ადმინისტრაციამ უნდა მიაწოდოს. მნიშვნელოვანია, რომ ყუთი მდებარეობდეს ადვილად შესამჩნევ ადგილას, ხოლო მისი შეფერილობა ან მასზე დატანილი წარწერა ყურადღებას იპყრობდეს.


რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, საჩივრების ყუთს ნაკლებად იყენებენ. მათგან, ვისაც საჩივრების ყუთზე ხელი მიუწვდება, 89.3%-ს ის ერთხელაც არ გამოუყენებია, ყოველთვის იყენებს მხოლოდ 3.9%, ხშირად 1.7%, ზოგჯერ - 1.4%, იშვიათად - 2.5%.

იმ პატიმრების გამოკვეთილ უმრავლესობას (70%), ვინც საჩივრების ყუთს არ იყენებს, კონფიდენციალური საჩივარი არასოდეს დაუწერია. 8.3%-ს ურჩევნია, ყუთი არ გამოიყენოს და საჩივარი პირადად გადასცეს სასჯელაღსრულების დაწესებულების წარმომადგენელს ან სოციალურ მუშაკს. ასევე, მართალია საჩივრების ყუთი კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფადაა, მაგრამ 3.6%, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ ახერხებს მის გამოყენებას ისე, რომ სხვებმა ვერ შენიშნონ.

აღნიშნული შედეგები ცხადყოფს, რომ პატიმრების გარკვეული ნაწილი საჩივრების ყუთს არ იყენებს მიუხედავად იმისა, რომ კონფიდენციალურად სურს საჩივრით მიმართვა. საყურადღებოა, რომ პატიმართა გარკვეულ ნაწილს ურჩევნია, ყუთი არ გამოიყენოს და

საჩივარი პირადად გადასცეს სასჯელაღსრულებითი დაწესებულების წარმომადგენელს ან სოციალურ მუშაკს, რისი მიზეზიც შეიძლება აიხსნას მიღებული პასუხებით, კერძოდ, სხვისი დანახვის გარეშე ვერ გამოიყენებს; ცუდ საქციელად ითვლება პატიმრებს შორის და საჩივრების ყუთის გამოყენებამ შესაძლოა პრობლემები შეუქმნას. ამდენად აღსანიშნავია, რომ პატიმრების გარკვეული ნაწილი საჩივრების ყუთების გამოყენებას არ ენდობა, რადგანაც მიიჩევს, რომ ის ვერ უზრუნველყოფს კონფიდენციალურობას. ასევე გასათვალისწინებელია დაწესებულებებში არსებული სუბკულტურის გავლენაც, რის გამოც პატიმრები მიიჩნევენ, რომ საჩივრების ყუთების გამოყენება ცუდ საქციელად ითვლება პატიმრებს შორის და მათმა გამოყენებამ შესაძლოა პრობლემები შეუქმნას.

იმ პატიმრებს, რომლებსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში საჩივარი არ შეუტანიათ (ასეთია სულ 901 რესპონდენტი, ანუ გამოკითხულ პატიმართა 46%), დაესვათ შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რა იყო ამის მიზეზი.



შენიშვნა: *მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აღემატება.*

ამ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ პატიმართა 4%-მა საჩივრის შეტანისგან თავი სწორედ იმ მიზეზით შეიკავა, რომ არ ჰქონდა მისი კონფიდენციალურობის დაცვის იმედი.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 10%-ს საჩივრის შეტანის სურვილის შემთხვევაში, ამის განხორციელების საშუალება არ მიეცა.

პატიმართა იმ ჯგუფს, რომელმაც აღნიშნა, რომ საჩივარი, სურვილის მიუხედავად, არ შეუტანია, დაესვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად ხშირად ყოფილა ასეთი შემთხვევები მათ პრაქტიკაში ბოლო 2 წლის განმავლობაში.

როგორც მონაცემები აჩვენებს, იმ პატიმრებიდან, რომლებსაც საჩივარი, სურვილის მიუხედავად, არ შეუტანიათ, თითქმის 20%-ს მინიმუმ თვეში რამდენჯერმე შექმნია ასეთი პრობლემა. მესამედისთვის ეს პრობლემა უფრო იშვიათად ხდება, ვიდრე წელიწადში რამდენჯერმე.

სოციოლოგიური კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ პატიმართა მეოთხედისთვის საჩივრის ყუთი ან ხელმიუწვდომელია, ან მათთვის ამ ტექნიკური საშუალების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ არაფერია ცნობილი.[65]

ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მონაცემები განსხვავებულია სასჯელაღსრულების დაწესებულების ტიპების მიხედვით:[66] მონაცემების თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებებში პატიმართა ბევრად მეტი რაოდენობა (11–30%–ის ფარგლებში) აღნიშნავს, რომ მათთვის ჩამოთვლილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ხელმიუწვდომელია (მაგალითად, საჩივრების ყუთის ხელმიუწვდომლობაზე მიუთითებს დახურული დაწესებულების პატიმართა დაახლოებით 30%). ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს მეტად მიუწვდებათ ხელი კონფიდენციალური საჩივრის უფლებაზე, ვიდრე დახურული ტიპის დაწესებულებაში.

საგულისხმოა, რომ როგორც დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული[67] ვიზიტების დროს დადგინდა, პატიმრებს არ აქვთ საშუალება კონფიდენციალურად დაწერონ საჩივარი იმ შემთხვევებში, როცა მათ წერილის დაწერაში დახმარება სოციალური სამსახურის თანამშრომლისგან სჭირდებათ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სოციალური სამსახურის თანამშრომლები, თავისივე უსაფრთხოების დასაცავად საკანში უსაფრთხოების თანამშრომელთან ერთად შედიან. აღნიშნული კი არღვევს საჩივრის შინაარსის კონფიდენციალურობას და აჩენს უნდობლობას დაწესებულების სოციალური სამსახურის მიმართ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში პრაქტიკულად შეუძლებელია კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება ისე, რომ არ მოხდეს პატიმრის იდენტიფიცირება, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში საჩივრის დაწერის

[65] დეტალურად იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 4.1.2 თავი, მოთხოვნის/საჩივრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

[66] იქვე;

[67] N6 დაწესებულების შემთხვევაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები უშუალოდ შეესწრნენ ასეთ ფაქტს, დაწესებულების უსაფრთხოების თანამშრომლების განმარტებით, იმისათვის, რომ დაცული იყოს სოციალური სამსახურის თანამშრომლის უსაფრთხოება, ის პატიმარს საკანში აუცილებლად უსაფრთხოების თანამშრომლის თანდასწრებით ხვდება;

მსურველი პატიმარი უშუალოდ მიმართავს სოციალური სამსახურის თანამშრომელს, რომ მიაწოდოს მას კონვერტი (კონვერტები, როგორც ასეთი, არ რიგდება). პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე ის ფაქტი, რომ პატიმრის მიერ კონფიდენციალური კონვერტის მოთხოვნისას, სოციალური სამსახურის თანამშრომელი ინიშნავს აღნიშნული კონვერტის ნომერს და იმ პატიმრის სახელსა და გვარს, თუ ვის გადასცა ეს კონვერტი. აღნიშნული კონვერტის ნომრით კი საკმაოდ მარტივია საჩივრის ადრესატის იდენტიფიცირება.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს ეკრძალება შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს სახალხო დამცველი.


განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილი კორესპონდენციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხს. მიუხედავად კანონში არსებული ჩანაწერისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგების დროს გამოვლინდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სახალხო დამცველის აპარატის კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დარღვევა. ასე მაგალითად, სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან მსჯავრდებულებისთვის გაგზავნილ კორესპონდენციას გახსნილ მდგომარეობაში არიგებს დაწესებულების ბიბლიოთეკაში დასაქმებული ერთ-ერთი მსჯავრდებული.[68] სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრმა აღმოაჩინა, რომ კანცელარიის თანამშრომელს გახსნილი ჰქონდა სახალხო დამცველის აპარატიდან პატიმრისათვის გაგზავნილი კონვერტი და წერილის ასლიც გადაეღო. ამ უკანასკნელის განმარტებით, ეს დაწესებულებაში რუტინულ პრაქტიკას წარმოადგენდა. [69]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალური საჩივრის დაწერის შემდგომ, დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პატიმარი საჩივრის ყუთამდე ვერ მივა თანმხლები პირის (უსაფრთხოების ან რეჟიმის თანამშრომლის) გარეშე.


სოციოლოგიური გამოკითხვა აჩვენებს, რომ კონფიდენციალურ საჩივრებზე წერილობით გამოხმაურებას პატიმართა უმრავლესობა (ვისაც ღია, ან დახურული საჩივარი აქვს შეტანილი) ყოველთვის იღებს. თუმცა, ღია საჩივრების შემთხვევაში ასეთი პრაქტიკა გაცილებით უფრო გავრცელებულია (68%), ვიდრე დახურული (კონფიდენციალური) საჩივრების შემთხვევაში (52.2%).

[68] იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ 200-201, ხელმისაწვდომია http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf შემდეგ მისამართზე: [ბოლოს ნანახია 12.07.2015];

[69] იქვე;



რაც შეეხება იმას, იყო თუ არა წერილობითი პასუხი დალუქული კონფიდენციალური საჩივრების შემთხვევაში, იმ პატიმრების გამოკვეთილი უმრავლესობა (თითქმის 63%), ვისაც კონფიდენციალურ საჩივარზე პასუხი წერილობით მიუვიდა, აღნიშნავს, რომ კონვერტი არ ყოფილა დალუქული.



ასევე, აღსანიშნავია, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში, სადაც კონფიდენციალურ წერილებზე პასუხები დახურული კონვერტით მიდის, დაწესებულების თანამშრომლები მისივე თანდასწრებით ხსნიან, აცნობენ და მიაქვთ პატიმრის პირად საქმეში ჩასადებად. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციის თანამშრომელს თავისუფლად შეუძლია წაიკითხოს მიღებული პასუხი და მიხვდეს, რა საკითხს ეხებოდა პატიმრის კონფიდენციალური საჩივარი.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 102-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, არაკონფიდენციალური საჩივარი განსახილველად არ ეგზავნება იმ პირს ან მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ პირს, რომლის ქმედებასაც ეხება საჩივარი. აღნიშნულთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მიერ

პატიმრის იმ წერილის დაწესებულების მთავარი ექიმისთვის გადაგზავნა, რომელშიც პატიმარი სწორედ მთავარ ექიმს უჩივის. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება პატიმრობის კოდექსის აღნიშნულ მუხლს. ამასთან, ამგვარმა პრაქტიკამ შესაძლებელია პატიმარსა და მთავარ ექიმს შორის კიდევ უფრო დაძაბოს ურთიერთობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით გამოვლენილი შემდეგი პრობლემები. პირველ რიგში აღსანიშნავია საჩივრების ყუთის შესახებ დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფი პატიმრების ინფორმირებულობის ნაკლებობა. კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით დაბრკოლებას წარმოადგენს საჩივრის დაწერა სოციალური სამსახურის თანამშრომლის დახმარებით, რომელსაც საკანში შეჰყავს უსაფრთხოების თანამშრომელი. სირთულეს წარმოადგენს დახურული ტიპის დაწესებულებებში კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება იდენტიფიცირების გარეშე. კონფიდენციალურობის აშკარა დარღვევის პრაქტიკას წარმოადგენს კონვერტის მოთხოვნისას, სოციალური სამსახურის თანამშრომელის მიერ კონვერტის ნომრისა და სახელისა და გვარის ჩანიშვნა. შემაშფოთებელია სახალხო დამცველის აპარატიდან პატიმრებისათვის გაგზავნილი დახურული კორესპონდენციის გახსნილ მდგომარეობაში დარიგება, კონფიდენციალური საჩივრების პატიმრებისათვის გახსნილ მდგომარეობაში მიწოდება, აგრეთვე, კონფიდენციალური კორესპონდენციის დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრის თანდასწრებით გახსნა და მათი პირად საქმეში ჩადება, რითაც შესაძლებელი ხდება კონფიდენციალური საჩივრის შინაარსის გაგება. პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მიერ საჩივრის გადაგზავნა იმ პირისათვის, რომლის ქმედებასაც ეხება აღნიშნული საჩივარი. პრობლემურია პრაქტიკა, როდესაც დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პატიმარი საჩივრის ყუთამდე ვერ მიდის თანმხლები პირის (უსაფრთხოების ან სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლის) გარეშე. ასევე რიგ დაწესებულებებში[70] პრობლემურია ის გარემოება, რომ საჩივრების ყუთი ხვდება სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მოთავსებისას მოხდეს მათი სრულყოფილი ინფორმირება საჩივრების ყუთებით სარგებლობასთან დაკავშირებით**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა საჩივრების ყუთები განთავსდეს პატიმრებისათვის ადვილად შესამჩნევ და ხელმისაწვდომ ადგილებში, სადაც არ მიმდინარეობს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი, რათა მაქსიმალურად შესაძლებელი იყოს ყუთის გამოყენება მომჩივანი პატიმრის იდენტიფიცირების გარეშე**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სოციალური სამსახურის თანამშრომელი**

[70] მაგალითად, N5 (პატიმრობის განყოფილება), N6, N7, N8, N18 დაწესებულებებში;

პატიმარს კონფიდენციალური საჩივრის შედგენაში უსაფრთოხების დაცვის თანამშრომლის დაუსწრებლად ეხმარებოდეს

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს აეკრძალოთ კონფიდენციალური კონვერტის გადაცემისას კონვერტის ნომრისა და პატიმრის სახელისა და გვარის ჩანიშვნა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა შეიცვალოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მსჯავრდებულებისთვის გაგზავნილი კორესპონდენციის გახსნილ მდგომარეობაში დარიგების პრაქტიკა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აიკრძალოს კონფიდენციალური საჩივრების გახსნილ მდგომარეობაში დარიგება
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დახურული კონვერტებით მიღებული პასუხები პატიმრებს გადაეცეთ კონფიდენციალურად, ისე, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლებს არ ჰქონდეთ მათი წაკითხვის შესაძლებლობა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აღმოიფხვრას საჩივრის გადაგზავნის პრაქტიკა იმ პირისათვის, რომლის ქმედებასაც ეხება აღნიშნული საჩივარი

4.2.3. პატიმრის დაცვა ზეწოლისაგან და სხვა სახის რეპრესიებისაგან

ყველა მოთხოვნა ან საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა განიხილებოდეს და გაეცეს პასუხი დაგვიანების გარეშე. თუ მოთხოვნა ან საჩივარი არ დაკმაყოფილდა ან უარყოფილ იქნა დაგვიანების გამო, მომჩივანს უნდა მიეცეს უფლება წარადგინოს საჩივარი სასამართლოში ან სხვა ორგანოში. დაკავებულს, დაპატიმრებულს ან სხვა რომელიმე მომჩივანს წინამდებარე პრინციპების პირველი პუნქტის თანახმად, არ უნდა მიადგეს რაიმე ზიანი განხორციელებული მოთხოვნის ან საჩივრის გამო.[71]

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს საფუძველი. აგრეთვე, პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს სხვა დამოუკიდებელ ორგანოს.[72] არ უნდა მოხდეს პატიმართა დასჯა იმის გამო, რომ მათ საჩივარი შეიტანეს. [73]

საჩივრების წარდგენის და განხილვის ეფექტური პროცედურა წამების პრევენციის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან ხერხემალს წარმოადგენს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშებში არაერთხელ უსვამს ხაზს ასეთი პროცედურის მნიშვნელობას და საჩივრის წარდგენის უფლებით სარგებლობისას რეპრესიების

[71]გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა (1989); (Body of Principles of the Protection of All Persons under Any Form of Detention or Imprisonment), პრინციპი 33;

[72] ევროპული ციხის წესები, წესი 70.3;

[73] იქვე;

დაუშვებლობას. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ „საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას და ამავდროულად, ის ზოგადად ხელს უწყობს ციხის სათანადო მართვას.“[74]

კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ ციხის თანამშრომლის მიმართ ცრუ, ყალბი საჩივრის წარდგენისთვის დისციპლინური სანქციაც კი, საჩივრის განხორციელების დამაბრკოლებელ მიდგომას წარმოადგენს, რადგანაც ამან შეიძლება პატიმარს ხელი ააღებინოს საჩივრის წარდგენაზე.[75] თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ცალსახად მიუღებელია. მართალია, საჩივრის წარდგენის გამო რეპრესიების და სანქციების დაწესების თავიდან აცილება აუცილებელია, საჩივრის წარდგენისა და განხილვის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის ეს საკმარისი არ არის. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა ირლანდიასთან მიმართებით აღინიშნა, რომ უმრავლეს პატიმარს არ აქვს ნდობა საჩივრების სისტემის მიმართ და არ სურს

საჩივრით მიმართვა მაშინაც კი, როდესაც საუბარია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე[76]. მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს სწამდეთ საჩივრების სისტემის ეფექტიანობის, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს აარიდებენ საჩივრის შეტანას, რაც დააზარალებს საჩივრების სისტემის მიზანს.[77]

წამების პრევენციის ქვეკომიტეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჩივრების მცირე რაოდენობა არსებული კონტექსტის გათვალისწინებით არ იძლევა სანდო სურათს მექსიკაში წამებასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. ქვეკომიტეტის აზრით, საჩივრების რაოდენობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს საჩივრების სისტემის მიმართ ნდობის ნაკლებობა და ცრუ, ყალბი საჩივრის წარდგენისთვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობა, რაც ქვეკომიტეტისათვის სრულიად მიუღებელია.[78]

ამრიგად, სახელმწიფოს ძალისხმევა, თავისი პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, მიზანმიმართული უნდა იყოს არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებული პირების მიერ საჩივრის წარდგენის და განხილვის ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირებისაკენ. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი ან შეზღუდული პირები, საჩივრის წარდგენის გამო, შესაძლო რეპრესიებისგან და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოების გარანტიები. პატიმრობის კოდექსის 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯა საჩივრის შეტანის გამო.

---

[74] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 1997 წლის 8-17 სექტემბერს გაერთიანებულ სამეფოში და კუნძულ მენზე განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2000), პარ. 151. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/gbr/2000-01-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 17.07.2015];

[75] იქვე, პარ;

[76] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2006 წლის 2-13 ოქტომბერს ირლანდიაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2007) 40, პარ. 37, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/irl/2007-40-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 17.07.2015];


[77] იქვე, პარ. 37;

[78] იქვე, პარ. 88;


ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, 188 (10%) პატიმარმა აღნიშნა, რომ საჩივრის შეტანის სურვილი ჰქონდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ეს არ გაუკეთებია (ამ ჯგუფიდან ყოველი მეხუთე მიუთითებს, რომ ასეთი შემთხვევა მინიმუმ თვეში რამდენჯერმე ჰქონია). ყველაზე ხშირად (41%–მდე) საჩივრის შეტანისგან თავის შეკავების მიზეზი (სურვილის მიუხედავად) ზეწოლაა, რომელიც ძირითადად სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციისგან მოდის; თუმცა, ზეწოლას ადგილი ასევე ჰქონია პროკურორის, გამომძიებლის თუ სხვა პატიმრების მხრიდან; რესპონდენტებმა მნიშვნელოვან ფაქტორად დაასახელეს, აგრეთვე, თვითცენზურა, ანუ განცდა იმისა, რომ საჩივრის დაწერა გაართულებდა მათ მდგომარეობას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (შემთხვევათა 17%).

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში ის რესპონდენტები, რომლებსაც, სურვილის მიუხედავად, საჩივარი არ შეუტანიათ, ამის მიზეზად მხოლოდ ერთ ფაქტორს ასახელებენ – განცდას, რომ ეს ნაბიჯი მათ მდგომარეობას დაამძიმებდა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვან წილს იკავებს ქალი პატიმრების (24.1%) და ბრალდებულების (26.7%) შემთხვევაშიც.

კაცი პატიმრების შემთხვევაში, სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლა სახელდება შემთხვევათა 35%–ში (ქალი პატიმრების შემთხვევაში, ამ მიზეზის ხვედრითი წილი მხოლოდ 3.5%–ია). სხვა პასუხებთან შედარებით, ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლა იკვეთება დახურული ტიპის დაწესებულებებში (43.2%).



შენიშვნა: *მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.*



გამოკითხვის მონაცემები აჩვენებს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი და თანამშრომლები უარყოფითად შეხვდნენ პატიმრის მიერ საჩივრის შეტანას, უარყოფითი დამოკიდებულება მათ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობით, აგრეთვე, პატიმრისთვის სხვადასხვა უფლების შეზღუდვით გამოხატეს.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ზომები, მათ შორის პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების სწავლების გზით, რომ საჩივრების შეტანის გამო პატიმრების მიმართ არ განხორციელდეს რეპრესიები**
- **ასეთი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გენერალური ინსპექციის მიერ პრიორიტეტულად მოხდეს საქმის შესწავლა და პასუხისმგებელ პირთა სათანადო დასჯა**

რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურორს:

- **საჩივრების შეტანის გამო პატიმრებზე განხორციელებული რეპრესიების სახით დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საქმეზე გამოძიება ჩატარდეს პრიორიტეტულად და უზრუნველყოფილ იქნას პასუხისმგებელ პირთა სათანადო დასჯა**

4.3. მოთხოვნის/საჩივრის განხილვის შედეგები

4.3.1. გადაწყვეტილების დასაბუთება


პატიმრობის კოდექსის 95-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მოთხოვნაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს. დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს პატიმრობის კოდექსის 95-ე მუხლის მე-6 ნაწილში შესული ცვლილება, რომლის მიხედვითაც ამოღებულ იქნა მოთხოვნის გასაჩივრების აკრძალვა.

საჩივრის განხილვის ეფექტური მექანიზმის არსებობა წარმოადგენს ძირითად გარანტიებს არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ. აქსიომას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ეფექტური პრევენცია დამოკიდებულია პატიმრების მიერ შეტანილი საჩივრების გულმოდგინედ განხილვასა და დამრღვევების მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პატიმრებს ექმნებათ იმის შეგრძნება, რომ შესაბამისი უწყებები არ იღებენ სათანადო ზომებს საჩივრების საპასუხოდ და დამრღვევები არიან დაუსჯელები.[79] ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს სწამდეთ საჩივრების სისტემის ეფექტურობის, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს აარიდებენ საჩივრის შეტანას, რაც დააზარალებს საჩივრების სისტემის მიზანს.[80]

სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროში პატიმრების მიერ შეტანილი საჩივრების განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი გადამწყვეტ როლს თამაშობს გადაწყვეტილების მიმღების მიმართ პატიმრების ნდობის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული კი თავის მხრივ გადამწყვეტია საჩივრების განხილვის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის. გადაწყვეტილების დასაბუთებულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პატიმრებს შორის იმ აზრის ჩამოყალიბებაზე, რომ მათი საჩივრების განხილვის შედეგად სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანენ.

სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში პატიმრების გამოკითხვა აჩვენებს, რომ როგორც ღია, ისე კონფიდენციალური საჩივრების შემთხვევაში, მათი დაკმაყოფილების სიხშირე ძალიან დაბალია: ღია საჩივრების შემტან პატიმართა თითქმის ნახევარი ამბობს, რომ მათი საჩივარი არასოდეს დაკმაყოფილებულა; კონფიდენციალური საჩივრების შემთხვევაში, ასეთ პრაქტიკაზე პატიმართა კიდევ უფრო დიდი რაოდენობა (58.2%) მიუთითებს.

[79] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, მე-12 საერთო ანგარიში კომიტეტის აქტივობებთან დაკავშრებით, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-12.pdf [ბოლოს ნანახია 06.10.2015];
[80] იქვე;




მნიშვნელოვან განსხვავებებს იძლევა მონაცემები პატიმართა სხვადასხვა ჯგუფებში:

- მამაკაცი პატიმრების 14.6% აღნიშნავს, რომ მათი საჩივრები ყოველთვის ან ხშირად კმაყოფილდება, რაც თავისთავად დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ ქალი პატიმრების შემთხვევაში ეს მონაცემები კიდევ უფრო დაბალია (1.6%).

- პატიმართა სტატუსის ჭრილში გამოირჩევა ბრალდებულთა მონაცემები: ბრალდებულთა 30.3% აღნიშნავს, რომ მათი საჩივარი ყოველთვის/ხშირად კმაყოფილდება. ამის საპირისპიროდ, მსჯავრდებულებში ეს მაჩვენებელი 11.6%-ია.

- არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმართა 14.3%-ის თქმით, მათი საჩივრები არასოდეს ან იშვიათად კმაყოფილდება. განსხვავებული სურათია დახურული და ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში გამოკითხულთა მონაცემებში, რომელთა მიხედვითაც ამ დაწესებულებების პატიმრების ნახევარზე მეტის საჩივრები არასოდეს ან იშვიათად კმაყოფილდება.

გარდა იმისა, რომ ორივე ტიპის საჩივარზე დაკმაყოფილების სიხშირე დაბალია, ასევე დაბალია საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანად შეფასების მაჩვენებლები. შეკითხვაზე, ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენს საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანი იყო, 62%-მდე აღნიშნავს, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება მათ საჩივართან დაკავშირებით არასოდეს მიუღიათ. პატიმართა მხოლოდ 19%-ის შეფასებით საჩივრებზე რეაგირება ყოველთვის ან უმეტესად სამართლიანია, ხოლო 11.3%-ის აზრით, გადაწყვეტილება ზოგჯერ ან იშვიათადაა სამართლიანი.



დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების გამოტანის პრაქტიკა მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახება გასაჩივრების მექანიზმის მიმართ პატიმრებს შორის ნდობის ჩამოყალიბებაზე, რაც ჩატარებული კვლევის შედეგებიდანაც ჩანს. კერძოდ, იმ რესპონდენტებიდან, რომლებსაც საჩივრის შეტანის უფლება ბოლო ორი წლის განმავლობაში არ გამოუყენებიათ (ასეთია 46%), იმედი იმისა, რომ პროცესი წარმატებით წარიმართებოდა და საჩივრის შინაარსს გაითვალისწინებდნენ, არ ჰქონდა პატიმართა 14.9%-ს.

პატიმართა გამოკვეთილ უმრავლესობას (64.5%) ერთსა და იმავე საკითხზე საჩივარი ერთზე მეტჯერ შეაქვს. ამის მიზეზი ყველაზე ხშირად საჩივარზე არასათანადო/არაეფექტიანი რეაგირებაა, რაც ძირითადად გულისხმობს პრობლემის სრულად მოუგვარებლობას (49%), აგრეთვე, საჩივრის გამომწვევი პრობლემის კვლავ წარმოშობას (13.4%); საჩივრის განმეორებით შეტანის ერთ–ერთი უმთავრესი მიზეზია (40.6%) ისიც, რომ საჩივარზე უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანეს.

პატიმრების 41.1% აცხადებს, რომ თავიანთ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ, 14.1%-ს ერთხელ მაინც გაუსაჩივრებია, ხოლო 22.9%-ს - არაერთხელ.

გადაწყვეტილების გასაჩივრებას, უმრავლეს შემთხვევაში, ახლავს ამ გადაწყვეტილების უსამართლობის განცდა: იმ პატიმართა 76.3%, ვინც აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არაერთხელ გაასაჩივრა, გამოტანილ გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევს. მეორე მხრივ, გამოტანილი გადაწყვეტილების უსამართლობის განცდა გასაჩივრების ხელის შემშლელი ფაქტორიც ხდება: იმ პატიმრებიდან, ვისაც არასოდეს გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება, 58.1%-მა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ყოველთვის უსამართლო იყო.

როგორც მონაცემები აჩვენებს, გასაჩივრების დაკმაყოფილების სიხშირე ძალიან დაბალია: პატიმართა (ვინც გამოტანილი გადაწყვეტილება გაასაჩივრა) მხოლოდ 2.1% აღნიშნავს, რომ მათ მიერ შეტანილი ყველა საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო 2.7% მიუთითებს, რომ წარდგენილ საჩივართა უმეტესობა დაკმაყოფილდა. ამის საპირისპიროდ, 10-იდან 7 პატიმარი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებას შედეგი არ მოჰყოლია.

კვლევის ფარგლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა[81] სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში განხილული საჩივრების საქმისწარმოების მასალები. მოწოდებული[82] დოკუმენტაციის მიხედვით, გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ (სხვაგვარი გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველისთვის არ მოუწოდებიათ). საქმისწარმოების შეწყვეტას საფუძვლად უდევს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის მოხსენებითი ბარათი, რომელიც როგორც წესი, უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, საქმეში გამოვლენილი რომელი გარემოებები გახდა საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი. მოწოდებული მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილებები დასაბუთებული არ არის, კერძოდ, ისინი არ შეიცავს იმის დასაბუთებას, თუ რატომ არ გაიზიარეს პატიმრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და რატომ გაიზიარეს დაწესებულების თანამშრომლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რაც საბოლოოდ საფუძვლად დაედო საქმისწარმოების შეწყვეტას.

პრობლემურია გენერალური ინსპექციის მეთოდოლოგია საკითხის შესწავლისას, კერძოდ, ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ პატიმრისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების გამოკითხვით. გენერალური ინსპექცია ყველა შემთხვევაში არ სწავლობს დოკუმენტურ და სხვა მტკიცებულებებს, არ გამოკითხავს სხვა პატიმრებს და სხვა მოწმეებს. ასევე, გამოკითხვისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უსვამენ მისახვედრ კითხვებს, კერძოდ, პირდაპირ ეკითხებიან ჩაიდინა თუ არა მან კონკრეტული ქმედება. ისინი არ სვამენ დამაზუსტებელ კითხვებს და პასუხებს არ ამოწმებენ სხვა წყაროებით. ამასთან, სვამენ ისეთ კითხვებს, რომელიც არაფრის მომცემია საკითხის გასარკვევად. მაგალითად, პატიმარი საჩივარში წერდა, რომ ექცევიან გამომწვევად და ცინიკურად. გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები ამ დროს ადმინისტრაციას უსვამს ფორმალურ და შემოწმების დასადგენად გამოუსადეგარ კითხვებს, მაგ: ეკითხებიან, ექცევიან თუ არა ამ პატიმარს გამომწვევად და ცინიკურად, რაზეც პასუხს იღებენ, რომ ასე არ ექცევიან.

სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული საქმეების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საქმის წარმოება წყდება ყველა შემთხვევაში, იმ არგუმენტით, რომ არ დადასტურდა დარღვევის ფაქტი. ჩამოწერის ცნობებში არგუმენტაცია ძირითადად მოიცავს მხოლოდ მიღებული ახსნა-განმარტებების აღწერას და ბოლოს დასკვნას, რომ ამდენად, არ დადასტურდა დარღვევის ფაქტი. ეს მაშინ, როდესაც გამოკვლევის შედეგად არის მხოლოდ განმცხადებლის მიერ მიწოდებული ახსნა-განმარტება, რომელიც მიუთითებს დარღვევაზე და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ახსნა-განმარტებები, რომლებიც უარყოფენ დარღვევას. ამ ყველაფრის საფუძველზე კი საქმისმწარმოებელი ასკვნის, რომ დარღვევა არ დადასტურებულა. ნათელია, რომ აღნიშნული მეთოდით პრაქტიკულად შეუძლებელია

[81] 2015 წლის 23 ივლისს სახალხო დამცველის 03-3/5941 და 03-3/5965 წერილები;

[82] 2015 წლის 3 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენერალური ინსპექციის N9003/15 და ამავე წლის 6 აგვისტოს შემოსული N9176/15 წერილობითი პასუხები;

საჩივარში მითითებული გარემოებების დადასტურება, რადგანაც შემოწმების შედეგი დამოკიდებულია მხოლოდ სავარაუდო სამართალდამრღვევების აღიარებაზე.

შინაარსობრივი კვლევის ნაწილში ასევე გამოთხოვილ იქნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში არსებული საქმის წარმოების მასალები. მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ საჩივრების განხილვისას, ხშირ შემთხვევაში, არ ხდება საკითხის სრულად შესწავლა. ასე მაგალითად:

1. გ.მ.-ს საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ წერილში გ.მ. აცხადებს, რომ იმყოფება სამართლო საკანში, მძიმე პირობებში, აწუხებს უჰაერობა და არ აქვს წყალი, არ უტარდება საჭირო მკურნალობა, უჩივის დაწესებულების მთავარ ექიმს, განმარტავს, რომ მთავარ ექიმს არ მოუნახულებია. ვინაიდან მძიმე პირობებში იმყოფება და ვერ უძლებს მედიკამენტის გვერდით ეფექტებს, ფიქრობს შეწყვიტოს ინტერფერონით მკურნალობის კურსი.

პატიმრისათვის გაგზავნილ პასუხში სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი აღნიშნავს, რომ გ.მ. იმყოფება ექიმების დინამიური მეთვალყურეობის ქვეშ და დანიშნულებისამებრ უტარდება მედიკამენტოზური მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში მომავალშიც გაეწევა შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი იქვე განუმარტავს პატიმარს, რომ შემდგომში სამედიცინო ხასიათის განცხადებით უნდა მიმართოს დაწესებულების მთავარ ექიმს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პასუხის ასლი და პატიმრის განცხადება გადაეგზავნა დაწესებულების მთავარ ექიმს, რომელსაც პატიმარი უყურადღებობაში ადანაშაულებდა.

სამედიცინო დეპარტამენტის ზემოთ ხსენებულ პასუხში არაფერია ნათქვამი პატიმრის განცხადებაში მითითებულ სხვა საკითხებზე, როგორიცაა სამართლო საკანში მძიმე პირობები, მთავარი ექიმის მიერ პატიმრის არ მონახულება, პატიმრობის მძიმე პირობებისა და მედიკამენტის გვერდითი ეფექტის გამო მკურნალობის შეწყვეტის განზრახვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული პრეტენზიებით სამედიცინო დეპარტამენტისათვის არაერთი მიმართვის შემდეგ, გ.მ.-მ ვადაზე ადრე შეწყვიტა ინტერფერონით მკურნალობის კურსი, რომელიც პრაქტიკულად დასასრულს უახლოვდებოდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ განცხადებაში მითითებული საკითხები სრულყოფილად არ იქნა შესწავლილი და შესაბამისად, პატიმრისათვის გაგზავნილი პასუხი დაუსაბუთებელია.

2. შ.კ.-ს საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ წერილში შ.კ. აცხადებს, რომ შეუმცირეს ფსიქოტროპული მედიკამენტის დოზა, რაც ცუდად აისახა მის ჯანმრთელობაზე. ის ასევე საუბრობს დაწესებულების მთავარი ექიმის არაკომპეტენტურობაზე და ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის დროს დანიშნულების ფურცლის დაკარგვის, ასევე ექიმ-კონსულტანტის დაგვიანებულ

კონსულტაციაზე. შ.კ.-ს განმარტებით, დაწესებულების არასამედიცინო პერსონალი ერევა ექიმების საქმიანობაში, კერძოდ, ფსიქიატრისა და ნარკოლოგის კონსულტაციის პროცესში მონაწილეობდნენ დაწესებულების დირექტორის მოადგილე და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა პატიმრისათვის გაგზავნილ წერილობით პასუხში მხოლოდ დოზის შემცირების მართებულობა დაასაბუთა. რაც შეეხება პატიმრის განცხადებაში მითითებულ სხვა საკითხებს და გარემოებებს, წერილში აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

3. ხ.რ.-ს საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ წერილში ხ.რ. უჩივის დაწესებულების სამედიცინო პერსონალს და ითხოვს სათანადო მკურნალობას ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. პატიმარი განმარტავს, რომ დაწესებულების ექიმები ყურადღებას არ აქცევენ, ჩატარებულ მკურნალობას შედეგი არ მოჰყოლია და ფიქრობს სუიციდზე.

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის წერილობით პასუხში დეტალურად არის აღწერილი, თუ რა გამოკვლევები და რა სახის მკურნალობა ჩაუტარდა და უტარდებოდა პატიმარს, თუმცა არაფერია ნათქვამი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის მიზანშეწონილობაზე და სუიციდურ ფიქრებზე.

4. გ.დ.-ს საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ წერილში გ.დ. აცხადებს, რომ არ უტარდება ჯანმრთელობის მდგომარეობის ადეკვატური მკურნალობა, სამედიცინო დოკუმენტაცია არ შეიცავს სწორ ინფორმაციას, 2012 წლამდე წარმოებული სამედიცინო დოკუმენტაცია კი ბადრაგირებისას დაკარგეს. პატიმარი დამატებით განმარტავს, რომ კუჭ-ნაწლავის პრობლემებთან დაკავშირებით დანიშნული დიეტის მიწოდება შეუწყდა, არ ჩაუტარდა უროლოგიური პროფილის სათანადო მკურნალობა, ფსიქიატრის კონსულტაცია დაგვიანდა, უჩივის ექიმის უყურადღებობას და ფიქრობს სუიციდზე.

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მიერ პატიმრისათვის გაგზავნილ წერილობით პასუხში მითითებულია, რომ სამედიცინო დეპარტამენტმა შეისწავლა პატიმრის სამედიცინო ბარათი, რითაც დაადგინა, რომ პატიმარს ნამდვილად აქვს ჩატარებული 2014 წლის 12 თებერვლის წერილში აღნიშნული გამოკვლევები. პასუხში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 2 თებერვალს ოჯახის ექიმის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე 2015 წლის 22 აპრილს პატიმარს ჩაუტარდა ფსიქიატრის კონსულტაცია. კუჭ-ნაწლავის პრობლემებთან დაკავშირებით განმარტებულია, რომ 2015 წლის 6 მაისს გ.დ.-ს ჩატარებული აქვს ოჯახის ექიმის კონსულტაცია და გაცემულია შესაბამისი დანიშნულება. საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდება სპეციალიზებული გამოკვლევები. სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი წერილობითი პასუხის ბოლოს გ.დ.-ს განუმარტავს, რომ მას აქვს შესაძლებლობა სამედიცინო

ხასიათის ჩივილზე მიმართოს უშუალოდ ოჯახის ექიმს, რომლისგანაც უზრუნველყოფილი იქნება კონსულტაციით და შესაბამისი მედიკამენტებით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი წერილობით პასუხში არაფერს ამბობს 2012 წლამდე შედგენილი დოკუმენტაციის დაკარგვის საკითხთან დაკავშირებით, პასუხში ასევე არაფერია ნათქვამი დიეტური საკვების მიწოდების შეწყვეტის შესახებ საჩივართან და უროლოგიური პრობლემების სათანადო მკურნალობის საკითხთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის წერილობითი პასუხიდან ირკვევა, რომ პატიმარს ფსიქიატრის კონსულტაცია ოჯახის ექიმის მიერ შესაბამისი რეკომენდაციის გაცემიდან 2 თვისა და 20 დღის შემდეგ ჩაუტარდა, ეს წერილობითი პასუხი არ შეიცავს ფსიქიატრის კონსულტაციის დროულობის ან დაყოვნების შესახებ მსჯელობას. აქვე აღსანიშნავია, რომ გ.დ.-ს მიერ სამედიცინო დეპარტამენტის უფროსისათვის გაგზავნილი წერილი დათარიღებულია 2015 წლის 16 თებერვლით, ხოლო სამედიცინო დეპარტამენტის წერილობითი პასუხი - 2015 წლის 7 მაისით, რაც იმას ნიშნავს, რომ პატიმარს წერილობითი პასუხი გაეგზავნა 2 თვისა და 20 დღის შემდეგ.

5. რ.ა.-ს საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ წერილში რ.ა. უთითებს ვირუსული „C" ჰეპატიტის გამოკვლევის საჭიროების შესახებ, ასევე აცხადებს, რომ როგორც წარსულში წამების მსხვერპლს, ესაჭიროებოდა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. პატიმარი განმარტავს, რომ აქვს მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ფიქრობს სუიციდზე, არ სურს ფსიქოტროპული მედიკამენტების მიღება და მისი მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება.

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა პატიმარს წერილობით ვრცლად უპასუხა ვირუსული „C" ჰეპატიტის გამოკვლევის საჭიროების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ამ წერილობით პასუხში არაფერია ნათქვამი პატიმრის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

6. ლ.ო.-ს საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ წერილში ლ.ო. აცხადებს, რომ ესაჭიროება ვირუსული „C" ჰეპატიტის გამოკვლევა და მკურნალობა, ბოლო გამოკვლევებით დაუდგინდა ღვიძლის ფიბროზის ხარისხი F1, არ მიეწოდება მედიკამენტი „ჰეპტრალი". სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა პატიმარს წერილობით ამომწურავად, დასაბუთებულად გასცა პასუხი ანტივირუსულ მკურნალობაში ჩართვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, თუმცა წერილობით პასუხში არაფერია ნათქვამი მედიკამენტ „ჰეპტრალის" მიწოდების საკითხზე.

7. დ.კ.-ს საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ წერილში დ.კ. სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნავს, რომ მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, ორი თვის განმავლობაში არ მიეწოდებოდა ტკივილგამაყუჩებლები. სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის ვრცელ წერილობით პასუხში აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

8. პ.ს.-ს საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის 2015 წლის 26 იანვარს გაგზავნილ წერილში პ.ს. სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნავდა, რომ ცემის შედეგად დაზიანებული ყურის შესამოწმებლად შესაბამისი ექიმის კონსულტაცია 3 თვით დაყოვნდა. სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა პატიმრის წერილი დაწესებულების მთავარ ექიმთან გადაამისამართა, რის შესახებაც წერილობით აცნობა პატიმარს. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული პაციენტის გასინჯვის ფურცლიდან ირკვევა, რომ პ.ს.-ს 2015 წლის 18 მარტს, პატიმრის წერილობითი მიმართვიდან თითქმის ორი თვის შემდეგ, გაუწია კონსულტაცია ოტორინოლარინგოლოგმა. მიუხედავად იმისა, რომ აშკარად იკვეთება ოტორინოლარინგოლოგის კონსულტაციის დაყოვნება ფაქტი, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს სამედიცინო დეპარტამენტიდან პატიმრის საჩივართან დაკავშირებით გატარებული ზომების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო დეპარტამენტს არ გააჩნია ნორმატიულად რეგულირებული საჩივრების განხილვის სისტემა, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის საჩივრისა და მოთხოვნის დიფერენცირების მხრივ. 2015 წლის 29 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლებს შორის. სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლების განმარტებით, პატიმრები ცდილობენ წერილში შეეხონ ყველა პრობლემას, ამიტომ განცხადებების 90%-ში რთულია ერთმანეთისგან გაარჩიო მოთხოვნა და საჩივარი. სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო რეგულირების სამმართველოს ხელმძღვანელის განმარტებით, სამოქმედო გეგმაში აქვთ საჩივრის მართვის მექანიზმი და მიმდინარეობს მსჯელობა საჩივრის ერთიანი ფორმის შექმნაზე.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **გადაიხედოს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის შესწავლის მეთოდოლოგია, შემუშავდეს შესაბამისი გაიდლაინები/ინსტრუქციები**
- **უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა სწავლება გამოკითხვის (ინტერვიუს) ტექნიკაში და სწავლების შედეგად მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებაზე განახორციელოს მკაცრი კონტროლი**
- **უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრების შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების სათანადო დასაბუთება**
- **უზრუნველყოს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრების განხილვის დეტალური პროცედურის შემუშავება და დამტკიცება**

4.3.2. პატიმრის ინფორმირება გადაწყვეტილების შესახებ

პატიმრები ინფორმირებულები უნდა იყვნენ მათი საჩივრის პროცედურულ მხარეზე. გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ეცნობოს დაკავებულებს წერილობითი ფორმითა და სათანადო დასაბუთებით, აგრეთვე უნდა მიეწოდებოდეთ გასაჩივრების უფლების შესახებ ინფორმაცია.[83]

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, საჩივრის განხილვის შედეგები ბრალდებულს/მსჯავრდებულს ხელწერილით გაეცნობა გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა და დაერთვის ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს. საჩივარში მითითებულ ყოველ კონკრეტულ მოთხოვნას უნდა გაეცეს დასაბუთებული პასუხი. საჩივარზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ეცნობოს დასაბუთებული პასუხი.[84]

ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 19,2%-მა გასცა სწორი პასუხი კითხვას „რამდენ ხანში გადაეცემა მსჯავრდებულს საჩივრის განხილვის შედეგები, გადაწყვეტილების მიღებიდან?[85]“. რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია პატიმართა ინფორმირებულობის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს მოთხოვნაზე/საჩივარზე განმცხადებლის ინფორმირების მნიშვნელობას,

[83] წამების პრევენციის ასოციაცია, „საჩივრების პროცედურები“ ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/31/?vg=-1 [ბოლოს ნანახია 14.09.2015];

[84] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 106 (2015 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქციით);

[85] სწორი პასუხია: „არაუგვიანეს 5 დღისა“;

მიღებული მონაცემების ანალიზის დროს რიგ შემთხვევებში არ ჩანდა, ეცნობა თუ არა განმცხადებელს პასუხი მისი საჩივრის განხილვის შედეგების შესახებ.

აღინიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ განმცხადებლებს, უმეტეს შემთხვევაში არ უგზავნიან პასუხებს, საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა 2015 წლის 14 აგვისტოს N03-3/7182 წერილით მიმართა გენერალურ ინსპექციას და მოითხოვა ინფორმაციის მიწოდება, ეცნობათ თუ არა ხსენებული საჩივრების ავტორებს, საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ.

2015 წლის 14 სექტემბერს მიღებული N10743/15 პასუხის თანახმად, გენერალურ ინსპექციას არ გააჩნია უფლებამოსილება ბრალდებულს/მსჯავრდებულს აცნობოს საჩივრების შედეგებზე და მასზე არ ვრცელდება საქართველოს პატიმრობის კოდექსის 106-ე მუხლით დადგენილი წესი. ამავე წერილის თანახმად, გენერალურ ინსპექციაში შესული საჩივრის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაციის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნისა და მისი ნების გარეშე გაგზავნა მიზანშეუწონელია კონფიდენციალურობის თვალსაზრისით.


როგორც ზემოთ აღინიშნა, პატიმრები ინფორმირებულები უნდა იყვნენ მათი საჩივრის პროცედურულ მხარეზე. გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ეცნობოს დაკავებულებს წერილობითი ფორმითა და სათანადო დასაბუთებით, აგრეთვე უნდა მიეწოდებოდეთ გასაჩივრების უფლების შესახებ ინფორმაცია.[86] საგულისხმოა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის N188 ბრძანებით დამტკიცებული გენერალური ინსპექციის დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს და განიხილოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა, ადმინისტრაციულ ორგანოთა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საჩივრები და განცხადებები“, თუმცა აღნიშნული დებულება არ ითვალისწინებს გენერალური ინსპექციის ვალდებულებას, საჩივრის ავტორს შეატყობინოს საჩივრის განხილვის შედეგები, რაც კანონმდებლობის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

რაც შეეხება კონფიდენციალურობის დაცვას, აღსანიშნავია, რომ მითითებული პრობლემა რეალურად დგას პენიტენციურ სისტემაში, რაზეც დეტალურად საუბარია ამ ამგარიშის 4.2.2 თავში, თუმცა ხსენებული არგუმენტაციით საჩივრების ავტორებისათვის საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაციის არ მიწოდება ვერ იქნება გამართლებული, ვინაიდან, აღნიშნული შესაძლებელია კონფიდენციალურობის დაცვითაც, მაგალითად, გენერალური ინსპექციის წარმომადგენლის მიერ პირადად, საჩივრის ადრესატისთვის ინფორმაციის ადგილზე, პენიტენციურ დაწესებულებაში გაცნობის გზით.


[86] წამების პრევენციის ასოციაცია, „საჩივრების პროცედურები“ ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/31/?vg=-1 [ბოლოს ნანახია 14.09.2015];


აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმარს ეცნობება მისი მოთხოვნის/საჩივრის განხილვის შედეგები, პასუხი არ არის სრულყოფილი და არ მოიცავს ყველა იმ საკითხს, რასთან დაკავშირებითაც ბრალდებული/მსჯავრდებული ამახვილებდა ყურადღებას. ამასთან, ანალიზის დროს გამოვლინდა დაუსაბუთებელი პასუხების შემთხვევებიც.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად ჩანს, რომ საჩივრებზე ადრესატების გამოხმაურების თვალსაზრისით, მკვეთრი განსხვავებაა ღია და კონფიდენციალური საჩივრის ტიპების მიმართ: თუ ღია საჩივარზე, შემთხვევათა უმრავლესობაში (52.6%) პატიმარი პასუხს ყოველთვის იღებს, კონფიდენციალურ საჩივარზე ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ნაკლებია (37%).



საჩივრებზე, როგორც ღია, ისე კონფიდენციალურზე, გამოხმაურების პრაქტიკა დაბალია დახურული ტიპის დაწესებულების პატიმრებში (ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებასთან შედარებით) და ქალ პატიმრებში (მამაკაცებთან შედარებით)..







საჩივრებზე რეგულარულად (პასუხი „ყოველთვის“) წერილობით ღია საჩივრების შემთხვევაში უფრო ეხმაურებიან (68%), ვიდრე დახურულის (52.2%). თუმცა, გამოკვეთილი უმრავლესობა (63%) მიუთითებს, რომ პასუხი დალუქული არ ყოფილა.

შეკითხვაზე, რამდენად დროულად მიიღეს პასუხი საჩივრებზე, კვლავ მნიშვნელოვნად განსხვავებული მონაცემებია ღია და კონფიდენციალური საჩივრების შემთხვევაში:

- პატიმართა (ვისაც ღია საჩივარი აქვს შეტანილი) 58.5% აღნიშნავს, რომ დროულად (ყოველთვის ან ხშირად) გამოეხმაურნენ.
- იგივე მონაცემი, კონფიდენციალური საჩივრების მიმართ 44.4%–ია.



გამოკითხვა აჩვენებს, რომ კონფიდენციალურ საჩივრებზე წერილობით გამოხმაურებას პატიმართა უმრავლესობა (ვისაც ღია, ან დახურული საჩივარი აქვს შეტანილი) ყოველთვის იღებს. თუმცა, ღია საჩივრების შემთხვევაში ასეთი პრაქტიკა გაცილებით უფრო გავრცელებულია (68%), ვიდრე დახურული საჩივრების შემთხვევაში (52.2%).



სასჯელაღსრულების დახურული ტიპის დაწესებულებებში პრობლემებია პატიმართათვის განკუთვნილი პასუხების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, პატიმარს აცნობენ მის განცხადებასთან დაკავშირებით მიღებულ პასუხს, თუმცა არ უტოვებენ საკანში. არის შემთხვევები, რომ პატიმარი ვერ ახერხებს სათანადოდ გაეცნოს მიღებულ პასუხს და განახორციელოს შემდგომი რეაგირება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა პატიმარს კანონით დადგენილ ვადაში, სრულყოფილად და დასაბუთებულად ეცნობოს მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგები**
- **შევიდეს ცვლილებები დაწესებულების დებულებებში, რათა პატიმრებს მიეცეთ საშუალება, რომ მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგების ამსახველი პასუხი და საქმის წარმოების სხვა ნებისმიერი მასალა იქონიონ საკანში**

4.3.3. გასაჩივრების უფლება


მომჩივანს უნდა მიეცეს უფლება წარადგინოს საჩივარი სასამართლოში ან სხვა ორგანოში.[87] თუ მოთხოვნა ან საჩივარი უარყოფილი იქნა, პატიმარს უნდა განემარტოს მიზეზები და მიეცეს შესაძლებლობა მიმართოს საჩივრით დამოუკიდებელ ორგანოს.[88] გაეროს პატიმრებთან

[87] გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა, პრინციპი 33;
[88] ევროპული ციხის წესები, წესი 70.3;

მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამისად, პატიმარს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საჩივრის შეტანისა და გასაჩივრების ნებადართული საშუალებების შესახებ.[89]


პატიმრობის კოდექსის 107-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის განხილვის შედეგები შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 1 მაისამდე არსებული რედაქციით პატიმრობის კოდექსის 95-ე მუხლი ზღუდავდა პატიმრის მიერ მოთხოვნაზე მიღებული დასაბუთებული უარის გასაჩივრებას, თუმცა დადებითად უნდა აღინიშნოს ამ ჩანაწერის პატიმრობის კოდექსიდან ამოღება.[90]

მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გამოკითხული პატიმრების 41.1% აცხადებს, რომ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, 14.1%-ს ერთხელ მაინც გაუსაჩივრებია, ხოლო 22.9%-ს - არაერთხელ. პატიმრების სხვადასხვა ჯგუფიდან გამორჩეულ ყურადღებას იპყრობენ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმრები და ბრალდებულები – მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არასოდეს გაუსაჩივრებია მათ საჩივარზე გამოტანილი გადაწყვეტილება (შესაბამისად, 71.4% და 56.7%).




მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ გასაჩივრება დაკავშირებულია საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობის განცდასთან: იმ პატიმართა 76.3%, ვინც აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არაერთხელ გაასაჩივრა, გამოტანილ გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევს. მეორე მხრივ, იმ პატიმრებიდან, ვისაც გადაწყვეტილება არასოდეს გაუსაჩივრებია, 58.1%-მა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ყოველთვის უსამართლო იყო.


[89] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 35 (1);
[90] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 95, ნაწილი 6;



როგორც მონაცემები აჩვენებს, მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილების სიხშირე ძალიან დაბალია: პატიმართა (ვინც მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა) მხოლოდ 2.1% აღნიშნავს, რომ მათი მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრებიდან ყველა დაკმაყოფილდა, 2.7% მიუთითებს, რომ გასაჩივრების შემთხვევათა უმეტესობა წარუმატებლად დასრულდა, ხოლო 10-იდან 7 პატიმარი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებას შედეგი არ მოჰყოლია.



გასაჩივრების შედეგების თვალსაზრისით განსახვავებული მონაცემებია სხვადასხვა ჯგუფებში, კერძოდ, ბრალდებულთა მხოლოდ 44.4% აღნიშნავს, რომ მათი საჩივარი მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე არასდროს დაკმაყოფილებულა, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი მსჯავრდებულებში 71.8%-ს შეადგენს. ამასთან, ასეთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა დახურული ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ პატიმართა 62,8%-ის, ხოლო ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში 74,3%-ის შემთხვევაში. მამაკაც პატიმართა 71.3% აღნიშნავს, რომ მათი საჩივარი მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე არასოდეს დაკმაყოფილებულა, რაც თითქმის 10%-ით აღემატება ქალ პატიმართა მაჩვენებელს (62.5%).



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის საქმის წარმოების მასალების თვისებრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პატიმრებს გაგზავნილ პასუხში არ აცნობენ მათ უფლებას გასაჩივრების შესახებ. ასევე არ ხდება მათი ინფორმირება, თუ სად და რა ვადაშია შესაძლებელი მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება.

მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ გასაჩივრების უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, პატიმრის სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ გახდეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის[91] შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება სარჩელი, რომელიც აღძრულია სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით და არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის[92] საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით.

[91] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-9 მუხლი;
[92] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 46-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, „ვ“ ქვეპუნქტი;

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, არ განიხილება ოჯახის შემადგენლობაში, შესაბამისად, სოციალური დახმარების მიმღები ასეთი მსჯავრდებული პირი ვერ იქნება. [93]

ამ წესის მიხედვით, მსჯავრდებული, რომელიც წარადგენს სასამართლოში ამონაწერს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან მისი ოჯახის წევრების სოციალურად დაუცველის სტატუსის არსებობის შესახებ, არ თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. შესაბამისად, მსჯავრდებულებს, რომლებსაც, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ფინანსური საშუალება, ან საერთოდ არ ჰყავთ ოჯახის წევრები, შეზღუდული აქვთ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და მოკლებულნი არიან სასამართლო კონტროლის გზით კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მხარე, მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, თუმცა ამ უფლებამოსილების გამოყენება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში არ გამოვლენილა.

საქმეში – „საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ“ – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის ხარჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფთან [უფლება სამართლიან სასამართლოზე] per se შეუსაბამოდ.[94] თუმცა ასეთი ხარჯების გონივრულობა უნდა შეფასდეს ამ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, მომჩივნის უნარით, გადაიხადოს ის და სასამართლო პროცესის ეტაპით, რომელზეც ვრცელდება ასეთი შეზღუდვა. უფრო მეტიც, შეზღუდვა სასამართლო მიმართვაზე შეესაბამება მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული ურთიერთდამოკიდებულება პროპორციულობისა, გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.[95] ამდენად, მნიშვნელოვანია იმგვარი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავება, რომელიც სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძვლით, გაუმართლებლად არ შეზღუდავს პატიმარს პატიმრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკუთარი ინტერესები დაიცვას სასამართლოში.

---

[93] 2010 წლის 24 აპრილის საქართველოს მთავრობის N126 დადგენილება „ქვეყანაში სიღატაკის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“; 2006 წლის 28 ივლისის საქართველოს მთავრობის N145 დადგენილება „სოციალური დახმარების შესახებ“; 2010 წლის 20 მაისის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N141/ნ ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“;

[94] იხ. Weissman and Others v. Romania, no. 63945/00, §§ 34 and 35, ECHR 2006;

[95] საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №38736/04, 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 41;

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა ზომა, რათა პატიმარს მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგებთან ერთად ეცნობოს, რომ აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ამასთან მიეთითოს, სად და რა ვადაშია შესაძლებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება**

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- **განხორციელდეს ცვლილება შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რათა პატიმრობის კოდექსით დადგენილი უფლებების სავარაუდო დარღვევის თაობაზე სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში პატიმარი გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან**

5. პროაქტიური შიდა მონიტორინგი

ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები რეგულარულად უნდა ამოწმებდნენ, თუ რამდენად იმართება სასჯელაღსრულების დაწესებულებები ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად.[96] პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებს რეგულარულად უნდა ამოწმებდნენ კომპეტენტური ორგანოს მიერ დანიშნული, კვალიფიციური და გამოცდილი ინსპექტორები. შემოწმების მიზანს უნდა წარმოადგენდეს იმის გარკვევა, რამდენად იმართება სასჯელაღსრულების დაწესებულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.[97]

პატიმრობის კოდექსის 31-ე მუხლის 2015 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, დეპარტამენტის, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიდა უწყებრივ შემოწმებასა და მონიტორინგს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

5.1. გენერალური ინსპექცია და მონიტორინგის სამმართველო

2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით, სამინისტროს დებულების[98] მე-14 მუხლის შესაბამისად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების კონტროლი; სამინისტროს სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივი

[96] ციხის ევროპული წესები, წესი 92;
[97] პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები, წესი 55;
[98] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის N8 დადგენილება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ [ძალადაკარგულია 2015 წლის 1 ივლისიდან საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ივნისის N275 დადგენილებით];

გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინაღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება. თავის მხრივ, გენერალური ინსპექციის ფარგლებში ფუნქციონირებდა შიდა ინსპექტირების სამმართველო და ადამიანის უფლებათა სამმართველო. გარდა ამისა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში ფუნქციონირებს საგამოძიებო დეპარტამენტი, რომელიც იძიებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულს.[99]

2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ფარგლებში ასევე ფუნქციონირებდა მონიტორინგის სამმართველო. ამ უკანასკნელის კომპეტენციას განეკუთვნებოდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის კონტროლი; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით სისტემის ორგანოთა თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის დარღვევისა და სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა; სისტემის ორგანოების მოსამსახურეების სამსახურებრივი შემოწმება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით და აღნიშნულის თაობაზე განცხადებებსა და ინფორმაციაზე რეაგირება, შესაბამისი დასკვნების, ანგარიშების და რეკომენდაციების მომზადება დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის წარსადგენად; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების განხორციელებისა და საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმება და შესაბამისი დასკვნების, ანგარიშების და რეკომენდაციების მომზადება დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის წარსადგენად; სისტემის ორგანოთა თანამშრომლების მიერ დისციპლინისა და კანონის დარღვევის შემთხვევების სტატისტიკის წარმოება, მისი კომპლექსური და თემატური ანალიზის რეგულარულად განხორციელება, სათანადო რეკომენდაციების მომზადება თავმჯდომარისათვის წარსადგენად; ჩატარებული მონიტორინგის შესახებ ანგარიშის შედგენა და დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის წარდგენა; ჩატარებული მონიტორინგის შესახებ საერთო ანგარიშის შედგენა (არანაკლებ 6 თვეში ერთხელ) და თავმჯდომარისა და მინისტრისათვის წარდგენა; სისტემის ორგანოების მარეგულირებელი საქართველოს კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა.[100]

კვლევის მიზნებისთვის სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან გამოითხოვა[101] ინფორმაცია, 2015 წლის 1 იანვრიდან მარტის

[99] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის N8 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების“ მე-18 მუხლი [ძალადაკარგულია 2015 წლის 1 ივლისიდან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N53 ბრძანებით];

[100] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 30 იანვრის N19 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დებულება“;

[101] სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის უფროსის 2015 წლის 14 აგვისტოს წერილი N03-3/6716;

ჩათვლით გენერალურ ინსპექციაში შესული, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პატიმრების საჩივრების რაოდენობის, ასევე იმის შესახებ, ამ საჩივრებიდან რამდენი იყო ღია და რამდენი - კონფიდენციალური, მიღებული საჩივრების საფუძველზე რამდენ შემთხვევაში დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება, სამსახურებირივი შემოწმების რამდენ შემთხვევაში დადასტურდა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლის მიერ ადამიანის უფლებათა ან/და კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი. 2015 წლის 21 აგვისტოს წერილით[102] პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა აცნობა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე გენერალურ ინსპექციაში შევიდა პატიმრების 101 წერილი, აქედან 70 იყო ღია, ხოლო 31 კონფიდენციალური. ყველა ზემოაღნიშნულ წერილზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება და არცერთ მათგანზე არ დადასტურდა ადამიანის უფლებათა ან/და კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ პატიმართა საჩივრებზე რეაგირების ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში, გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმება ფორმალურ ხასიათს ატარებს და ვერ ჩაითვლება ეფექტიან საქმიანობად.[103]. ანალოგიურად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს მიერ განხორციელებული საქმიანობა ვერ ჩაითვლება ეფექტიან საქმიანობად. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არაერთი მიმართვისა[104], სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა ვერ მიიღო პასუხი კითხვებზე, მონიტორინგის სამმართველოს მიერ 2015 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების რომელი დაწესებულებები შემოწმდა, რამდენი ანგარიში, დასკვნა და რეკომენდაცია მომზადდა; რამდენ შემთხვევაში და ვის წინაშე იქნა დაყენებული საკითხი კანონდამრღვევი მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ; პატიმრის, მისი ადვოკატის ან ნათესავის რამდენი განცხადება შევიდა მონიტორინგის სამმართველოში, აქედან რამდენი განცხადება მიიღეს წარმოებაში და რამდენი ინდივიდუალური ვიზიტი განხორციელდა საკითხის შესწავლის მიზნით.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფლებამოსილებების ურთიერთკვეთა და მონიტორინგის სამმართველოს არაეფექტიანი მუშაობა გახდა ამ უკანასკნელის სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ერთად გაუქმების მიზეზი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს გაუქმება და სისტემური მონიტორინგის ფუნქციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის ცენტრალიზებულად გადაცემა მიზნად ისახავს შიდა მონიტორიგის ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას და შიდა მონიტორინგის პრაქტიკის გაუმჯობესებას, რაც მისასალმებელია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის №55 ბრძანებით ჩამოყალიბდა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში სტრუქტურული ერთეული, სისტემური

[102] MCLA 4 15 00690422;

[103] იხ. ქვეთავი „გადაწყვეტილების დასაბუთება“;

[104] სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 18 თებერვლის N03-2/1346 და 2015 წლის 28 ივლისის N03-2/6078 წერილები

მონიტორინგის სამმართველო, რომლის მიზანია წინასწარი სისტემური მონიტორინგის დანერგვა და შესაბამისად, პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა. ხსენებული ცვლილებაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს, მაგრამ ამავდროულად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გენერალური ინსპექციის სამუშაო მეთოდოლოგიის დაუხვეწლად აღნიშნული ცვლილება დადებით შედეგს ვერ გამოიღებს. ამასთან, მნიშვნელოვანია გენერალური ინსპექციის ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ასევე აუცილებელია პატიმართა სათანადო ინფორმირება გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებების შესახებ. საბოლოო ჯამში გენერალურმა ინსპექციამ ეფექტიანი საქმიანობით უნდა შეძლოს პატიმართა ნდობის მოპოვება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **გენერალურმა ინსპექციამ წლის განმავლობაში, პროაქტიურად, სათანადო სიხშირით განახორციელოს მონიტორინგი სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში**
- **დაიხვეწოს გენერალური ინსპექციის სამუშაო მეთოდოლოგია**
- **უზრუნველყოფილ იქნას გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა პროფესიული სწავლება**
- **განხორციელდეს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებების შესახებ პატიმართა სათანადო ინფორმირება**
- **უზრუნველყოფილ იქნას გენერალური ინსპექციის მიერ შესრულებული სამუშაოსა და შემოწმების შედეგად მომზადებული ანგარიშების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის, ვებგვერდზე შესაბამისი მასალის რეგულარულად გამოქვეყნების გზით**

5.2. სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო

სამედიცინო ხასიათის წერილების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და შესრულების კონტროლი წარმოადგენს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას. სამედიცინო დეპარტამენტში შედის სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო უზრუნველყოფს დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტების/სამედიცინო ნაწილების და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს; დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა

ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების შემუშავებას; დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტების/სამედიცინო ნაწილების და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტების მოსამსახურეთა სახელმწიფო სერტიფიკატების შესაბამისობის კონტროლს მათ მიერ განხორციელებულ საექიმო საქმიანობასთან; დაწესებულებებში სამედიცინო შეცდომების, მედიკამენტების არარაციონალური ან არამიზნობრივი გამოყენების, დაგვიანებული სამედიცინო დახმარების შემთხვევების, ლეტალური შემთხვევების გამოვლენას/განხილვას და შესაბამის რეაგირებას; დაწესებულებებში განთავსებულ პროგნოზულად მძიმე ავადმყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში განთავსებულ პროგნოზულად მძიმე ავადმყოფ მსჯავრდებულთა შემთხვევების განხილვასა და მათზე რეაგირებას დადგენილი წესით; ეპიდემიოლოგიური და სხვა მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს; დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში/სამედიცინო ნაწილებში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ზედამხედველობას და კონტროლს; დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტების/სამედიცინო ნაწილების სამედიცინო ხელმძღვანელობისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტების მოსამსახურეთა დროულ ინფორმირებას სამედიცინო მომსახურების კუთხით განხორციელებული ცვლილებებისა და სიახლეების თაობაზე; კომპეტენციის ფარგლებში, სამედიცინო ხასიათის წერილებისა და საჩივრების განხილვას, შესაბამის რეაგირებასა და შესრულების კონტროლს; დაწესებულებებში და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სფეროში კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით წინადადებების შემუშავებასა და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას; დაწესებულებებში და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში სალიცენზიო/სანებართვო პირობებისა და სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის შესრულების კონტროლს; უწყებრივი სანიტარიული ზედამხედველობის, ეპიდსაწინააღმდეგო და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების კონტროლს; დაწესებულებებსა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ფარმაცევტულ საქმიანობაზე კონტროლს; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების, აგრეთვე მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის მიერ დაკისრებული დავალებების შესრულებას.[105]

2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს საქმიანობის მიმოხილვის შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა უნდა უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს საქმიანობისა და სამმართველოსა და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან ურთიერთქმედების გაძლიერების გზით. წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და

[105] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N53 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის დებულების“ მე-12 მუხლი;

მონიტორინგის დეპარტამენტმა გამოითხოვა[106] სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ 2015 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

მოწოდებული მასალების შესაბამისად, 2015 წლის განმავლობაში სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ განხორციელდა დაწესებულებებში არსებული წამლების სამარაგოს მონიტორინგი[107], შემოწმდა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესრულება[108]. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ სტომატოლოგიურ და ქირურგიულ-სამანიპულაციო კაბინეტებში სტერილიზაციის პროცესის მიმდინარეობის დეტალური შესწავლა-ანალიზის/შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით, სამედიცინო რეგულირების სამმართველოს თანამშრომლებმა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, განახორციელეს ვიზიტი სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ, ყველა მოქმედი დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, შეისწავლეს და გააანალიზეს სტერილიზაციის პროცესი, გამოავლინეს არსებული ხარვეზები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა საჭიროებები, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სახარჯი მასალებით უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსის გადამზადება/დატრენინგების კუთხით.

2015 წლის 10-13 ივნისის ჩათვლით, სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა დასავლეთ საქართველოს სასჯელაღსრულების N2, N3 და N14 დაწესებულებებში არსებული საექიმო-სამედიცინო პუნქტების გეგმიური მონიტორინგი/შეფასება. შემოწმდა როგორც რენტგენის აპარატის, საარქივო დოკუმენტაციის წარმოებისა და ნარჩენების მენეჯმენტის, ისე აფთიაქის ფუნქციონირებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა არაერთი ხარვეზი. ასე მაგალითად, არცერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ ჰყავთ კადრი, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგი ინფექციის კონტროლის საკითხებზე; რამდენიმე დაწესებულებაში საექიმო-სამედიცინო პუნქტში კედლები არ არის გლუვი და შესაბამისად ვერ ხერხდება სველი წესით მათი დამუშავება; დეზინფექცია ხორციელდება ყველა დაწესებულებაში, თუმცა რამდენიმე დაწესებულებაში ჰქონდათ ვადაგასული სადეზინფექციო საშუალებები, არ ჰქონდათ, ან არ იცნობდნენ იმ ინსტრუქციას, რომლის მიხედვითაც გამოიყენება აღნიშნული საშუალებები.

ხარვეზებით მიმდინარეობს სტერილიზაციის პროცესი; სტერილიზაციამდე არ იფუთება ინსტრუმენტები; თითქმის არცერთ დაწესებულებაში არ აქვთ ორთქლის სტერილიზატორი (ე.წ. ავტოკლავი), რის გამოც, რიგ შემთხვევებში ხელი ეშლება ზოგიერთი ინვენტარის სრულფასოვან გასტერილებას; სტერილიზაცია ხორციელდება ე.წ. მშრალჰაეროვანი სტერილიზატორებით, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი მათგანი არაა

[106] 2015 წლის 14 აგვისტოსა და 8 ოქტომბერს სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი N03-3/6723 და 03-3/8230 წერილები;
[107] N3, N15, N7, N14 დაწესებულებებში;
[108] N2 დაწესებულებაში;

აღჭურვილი თერმომეტრით, ასევე, არცერთ მათგანს არ ჩატარებია კალიბრაციის პროცესი, რთულია ითქვას, თუ რამდენად სრულფასოვნად და გამართულად ასტერილებს იარაღს.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო N14 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ უთითებს დაწესებულების წამლების სამარაგოში სანიტარიული მდგომარეობის და მედიკამენტების შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში შენახვის კუთხით არსებულ პრობლემებზე. ამასთან, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველომ გამოავლინა გარკვეული ხარვეზები საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სხვადასხვა მოთხოვნების შესრულების, მათ შორის, ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოების კუთხით. ზემოთ ხსენებულ ყველა პრობლემასთან დაკავშირებით საექიმო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს შემუშავებული აქვს რეკომენდაციები, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო შემოწმების დროს საკმაოდ კრიტიკულად აფასებს არსებულ მდგომარეობას, რაც მისასალმებელია. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია სამმართველოს საქმიანობის შემდგომი გაძლიერება. ამ საქმიანობამ რეგულარული ხასიათი უნდა მიიღოს. მიზანშეწონილია სამედიცინო რეგულირების სამმართველომ წლის განმავლობაში, საკმარისი სიხშირით განახორციელოს მონიტორინგი სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში და რეგულარულად შეამოწმოს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა. ამ მიზნის მისაღწევად, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, სამედიცინო რეგულირების სამმართველოს საქმიანობის მთავარ ამოცანად სამედიცინო ხასიათის საჩივრების განხილვა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესისა და მიწოდებული მომსახურების ხარისხის პროაქტიურად შემოწმება უნდა განისაზღვროს. სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს რესურსი არ უნდა დაიხარჯოს ისეთ საკითხებზე, რომელიც სამედიცინო დეპარტამენტის სხვა სამმართველოების კომპეტენციას უფრო განეკუთვნება. მაგალითად, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო არ უნდა იყოს დაკავებული პატიმრების იმ წერილებზე რეაგირებით, რომლებიც არ შეიცავს საჩივარს სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გაირკვა, ასეთ პრაქტიკას რუტინული ხასიათი აქვს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოში დასაქმებულია ერთი იურისტი, ერთი ექიმი-კლინიცისტი, ფარმაცევტული დარგის ერთი და ჯანდაცვის ორი სპეციალისტი. დასახული ამოცანების ჯეროვნად შესასრულებლად, მნიშვნელოვანია სამმართველოში საკმარისი ადამიანური რესურსის უზრუნველყოფა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, სამმართველოს ფუნქციების მოცულობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სამმართველოს თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა და ამავდროულად ექსპერტების მოწვევის პრაქტიკის გაძლიერება. ასევე უნდა გაძლიერდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს სამუშაო მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა, თანამშრომელთა პროფესიული სწავლება, სამმართველოს უფლებამოსილებების შესახებ პატიმართა სათანადო ინფორმირება, სამმართველოს მიერ შესრულებული სამუშაოსა და შემოწმების შედეგად მომზადებული ანგარიშების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის, ვებგვერდზე შესაბამისი მასალის გამოქვეყნებით.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:


- **სამედიცინო რეგულირების სამმართველოს საქმიანობის მთავარ ამოცანად განისაზღვროს სამედიცინო ხასიათის საჩივრების განხილვა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესისა და მიწოდებული მომსახურების ხარისხის პროაქტიურად შემოწმება**
- **სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველომ წლის განმავლობაში, საკმარისი სიხშირით განახორციელოს მონიტორინგი სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში**
- **სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველომ რეგულარულად შეამოწმოს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა**
- **სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს ფუნქციების მოცულობის გათვალისწინებით, გაიზარდოს სამმართველოს თანამშრომელთა რაოდენობა და ამავდროულად გაძლიერდეს ექსპერტების მოწვევის პრაქტიკა**
- **უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს სამუშაო მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა**
- **უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს თანამშრომელთა პროფესიული სწავლება**
- **გაძლიერდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობა**
- **განხორციელდეს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს უფლებამოსილებების შესახებ პატიმართა სათანადო ინფორმირება**
- **უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ შესრულებული სამუშაოსა და შემოწმების შედეგად მომზადებული ანგარიშების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის, ვებგვერდზე შესაბამისი მასალის რეგულარულად გამოქვეყნებით**

დანართი


1. ინფორმირებულობა

1.1. ინფორმირებულობის თვითშეფასება

დიაგრამა N1.1



დიაგრამა N1.2



აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული სურათია სხვადასხვა ნიშნით დიფერენცირებულ რესპონდენტებს შორის:


ა) ქალ და მამაკაც პატიმართა შორის, იმ უფლებების შესახებ, რომელთა დარღვევაზე შესაძლებელია საჩივრის შეტანა, ინფორმირებულად (სრულყოფილად ან საკმარისად) თავს მიიჩნევს ქალების 69.7%, რაც მამაკაცებში იმავე მონაცემს 17.7%-ით აღემატება.

ბ) განსხვავებული სურათია სხვადასხვა ტიპის დაწესებულების პატიმართა შემთხვევაშიც - არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმრები ბევრად უფრო ინფორმირებულად მიიჩნევენ თავს (75.7% მიუთითებს სრულყოფილი ან საკმარისი ინფორმაციის ფლობაზე), ვიდრე დახურული (50.4%) და ნახევრად ღია (55.2%) დაწესებულების პატიმრები.

გ) რაც შეეხება მონაცემებს პატიმრების სტატუსის მიხედვით, ბრალდებულების 49% მიიჩნევს, რომ საკითხის შესახებ სრულყოფილი ან საკმარისი ინფორმაცია აქვთ; მსჯავრდებულებში ეს მაჩვენებელი თითქმის 5%-ით მაღალია და 54.6%-ს შეადგენს.

ინფორმირებულად საკუთარი თავის მიჩნევის ზოგადი მაჩვენებელი კლებულობს მაშინ, როდესაც შეკითხვა ეხება იმ პროცედურების ცოდნას, რაც საჩივრის შესატანად უნდა შესრულდეს:

დიაგრამა N1.3



აქაც მსგავსი სიტუაციაა ზემოთ გამოყენებული სამი ჭრილის - დაწესებულების ტიპის, სქესისა და პატიმრის სტატუსის – მიხედვით.


ა) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმრების 62.2% მიიჩნევს, რომ საკმარის ან სრულყოფილ ინფორმაციას ფლობს, როდესაც ეს მონაცემი 47.3%-მდე მცირდება ნახევრად ღია, ხოლო 43.8%-მდე – დახურული ტიპის დაწესებულების პატიმრების შემთხვევაში.

ბ) ქალი პატიმრების შემთხვევაში, ინფორმირებულად საკუთარ თავს მიიჩნევს 62.1%, ხოლო კაცი პატიმრების - 44.7%.

გ) მონაცემები განსხვავდება პატიმრის სტატუსის მიხედვითაც: ბრალდებულების შემთხვევაში, საკითხზე ინფორმირებულად საკუთარ თავს მიიჩნევს 31.4%, მსჯავრდებულთა - 38%.

რესპონდენტებში საკუთარი თავის ინფორმირებულად მიჩნევის დონე კიდევ უფრო ეცემა მაშინ, როდესაც შეკითხვა ეხება იმ პროცედურებს, რომლებიც საჩივრის განხილვასა და მასზე რეაგირებას ახლავს:

დიაგრამა N1.4




ამ საკითხზე ინფორმირებულობის თვითშეფასების მონაცემები სხვადასხვა ჭრილში ასეთია:

- დაწესებულების ტიპის მიხედვით: დახურული - 35.3%; ნახევრად ღია - 38.9%; არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო - 37.8%;
- სქესის მიხედვით: ქალი - 56.3%; კაცი - 35.7%;
- პატიმრის სტატუსის მიხედვით: ბრალდებული - 31.7%; მსჯავრდებული - 39.0%.

საბოლოო ჯამში, თუ ვიზუალურად გამოვსახავთ და შევადარებთ რესპონდენტთა ინფორმირებულობის თვითშეფასებას საჩივრის შეტანის უფლებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასეთ შედეგს მივიღებთ:

დიაგრამა N1.5:



1.2. ინფორმირებულობის/ცოდნის ობიექტური მაჩვენებლები

ცხრილი N1.2.1: ტესტური შეკითხვები საჩივრის შეტანის პრაქტიკის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

N	კითხვა	სწორი პასუხების %	არასწორი პასუხების %	„არ ვიცი“ %
1.	როდესაც საჩივრის შეტანის საფუძველს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის ქმედება, სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება და მსჯავრდებულის უფლებათა ხელყოფა წარმოადგენს, რამდენი ხნის ვადაშია შესაძლებელი საჩივრის შეტანა?[109]	2.6%	44.1%	53.3%
2.	აქვს თუ არა პატიმარს უფლება, მოითხოვოს კონსულტაცია საჩივრის შედგენის, საჩივრის ადრესატის განსაზღვრის ან სხვა ტექნიკური საკითხის მოგვარების მიზნით?[110]	79%	1.5%	19.5%
3.	შეუძლია თუ არა პატიმარს, რომელიც არ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით როგორც საჩივრის შედგენისას, ისე საჩივარზე პასუხის გაცემისას?[111]	81%	1%	18%


[109] სწორი პასუხია: „3 თვის განმავლობაში“;
[110] სწორი პასუხია: „აქვს“;
[111] სწორი პასუხია: „შეუძლია“;

N	კითხვა	სწორი პასუხების %	არასწორი პასუხების %	„არ ვიცი“ %
4.	რამდენ ხანში უნდა გადაუგზავნოს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ შემოსული საჩივარი ადრესატს?[112]	1.4%	37.5%	44.6%
5.	იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ადრესატი სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსია, რამდენ დღეში უნდა უნდა განიხილებოდეს საჩივარი?[113]	30.4%	18.6%	51%
6.	იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ადრესატი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეა, რამდენ დღეში უნდა განიხილებოდეს საჩივარი?[114]	28.3%	18.7%	53%
7.	გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენ ხანში გადაეცემა მსჯავრდებულს საჩივრის განხილვის შედეგები?[115]	19.2%	31.3%	49.5%

სხვადასხვა ჭრილების (დაწესებულების ტიპი, სქესი და პატიმრობის სტატუსი) მიხედვით სწორი პასუხების მაჩვენებლები კი შემდეგნაირად გამოიყურება:


[112] სწორი პასუხია: „48 საათში”;
[113] სწორი პასუხია: საჩივრის მიღებიდან 5 დღის ვადაში, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, 1 თვის ვადაში;
[114] სწორი პასუხია: “საჩივრის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, 1 თვის ვადაში“;
[115] სწორი პასუხია: „არაუგვიანეს 5 დღისა“;

დიაგრამა N1.2.2:




თუ ობიექტური ცოდნის განმსაზღვრელ კითხვებზე მიღებულ შედეგებს ინფორმირებულობის თვითშეფასების მონაცემებს შევადარებთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

დიაგრამა N1.2.3




1.3. ინფორმაციის წყაროები

დიაგრამა N1.3.1



შენიშვნა: *მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი, შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.*

დიაგრამა N1.3.2




ცხრილი N1.3.3: სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ საჩივრის შეტანის უფლებისა და პროცედურების შესახებ პატიმრებისათვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ფორმით


N		დიახ	არა	არ მახსოვს	პასუხი არ არის	უარი პასუხზე
1	დაწესებულებაში შესვლის საწყის პერიოდში	43.2%	42.4%	12.7%	0%	1.6%
2	*(დაწესებულებაში)* წერილობითი სახით	26.3%	56.2%	12.0%	3.8%	1.7%
3	*(დაწესებულებაში)* ზეპირად	33.0%	50.2%	11.8%	3.4%	1.6%
4	*(დაწესებულებაში)* დეტალურად/სრულყოფილად	25.5%	54.2%	13.8%	4.8%	1.7%
5	*(დაწესებულებაში)* თქვენთვის გასაგებ ენაზე	39.0%	43.9%	10.8%	4.6%	1.7%
6	*(დაწესებულებაში)* პერიოდულად/განმეორებით	15.7%	68.3%	9.2%	4.7%	2.2%

მონაცემები სასჯელაღსრულების დაწესებულების ტიპისა და სქესის მიხედვით შემდეგნაირია:

დიაგრამა N1.3.4




დიაგრამა N1.3.5




2. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები

დიაგრამა N2.1




ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მონაცემები განსხვავებულია სასჯელაღსრულების დაწესებულების ტიპების მიხედვით:

დიაგრამა N2.2



პატიმრები საჩივრის შესატანად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების შემდეგ წყაროებზე მიუთითებენ:


დიაგრამა N2.3



შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.


მატერიალურ–ტენიკური საშუალებებით მომარაგების სამი ძირითადი წყარო (სოციალური მუშაკი, დაწესებულების მაღაზია თანხის სანაცვლოდ და ადმინისტრაცია) შემდეგი სიხშირით ნაწილდება სხვადასხვა ჭრილში:

დიაგრამა N2.4




შენიშვნა: *მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.

დიაგრამა N2.5




დიაგრამა N2.6




მათგან, ვისაც საჩივრის შეტანის სურვილი გაუჩნდა, მაგრამ არ ჰქონდა შესაბამისი მატერიალური საშუალებები, 71.6%-მა მოითხოვა ისინი და მიეცა, 11.6%-მა მოითხოვა, მაგრამ არ მიეცა, 7.6%-ს კი არ მოუთხოვია (8.2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, 1%-მა უარი თქვა პასუხზე).

ფუნქციონირებს თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივრების ყუთი, კონფიდენციალური საჩივრების შესატანად?

დიაგრამა N2.7



დიაგრამა N2.8




რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, საჩივრების ყუთს ***მცირე გამოყენება*** აქვს - მათგან, ვისაც საჩივრების ყუთზე ხელი მიუწვდება, 89.3%-ს ის არცერთხელ არ გამოუყენებია, ყოველთვის იყენებს მხოლოდ 3.9%, ხშირად 1.7%, ზოგჯერ - 1.4%, იშვიათად - 2.5%.

ჭრილების მიხედვით საჩივრის ყუთი არასდროს გამოუყენებიათ:

- სასჯელაღსრულების დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა - 92.5%-ს
- სასჯელაღსრულების ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მყოფ პატიმართა -87.1%-ს
- არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფ პატიმართა - 97.2%-ს

- ქალ პატიმართა - 93.6%-ს
- კაც პატიმართა - 88.9%-ს
- ბრალდებულთა - 99.2%-ს
- მსჯავრდებულთა - 86.4%-ს


დიაგრამა N2.9




შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.

3. საჩივრების შეტანის პრაქტიკა

დიაგრამა N3.1.




დიაგრამა N3.2




3.1. საჩივრების ტიპები

პატიმრებს დაუსვეს შეკითხვები იმის თაობაზე, თუ რა ტიპის საჩივრები რა სიხშირით შეჰქონდათ. საჩივრების ტიპები განისაზღვრა ორი სახის კატეგორიზაციით - ღია/კონფიდენციალური და ინდივიდუალური/ჯგუფური საჩივრები.

დიაგრამა N3.1.1




დიაგრამა N3.1.2




3.2. დახმარება საჩივრის შეტანის პროცესში

დიაგრამა N3.2.1



დიაგრამა N3.2.2.




შენიშვნები:

- *დიაგრამაზე დაჯგუფებულია პასუხების შედეგები „მე (ჩვენ) თავად“ და „უფრო ხშირად მე (ჩვენ) თავად“ და „უფრო ხშირად ადვოკატს“ და „ადვოკატს“.*

- *ქალთა და არასრულწლოვანთა შემთხვევაში არ გვხვდება პასუხები „უფრო ხშირად ადვოკატს“ და დიაგრამაზე აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები გულისხმობს მხოლოდ პასუხს – „ადვოკატს“.*

დიაგრამა N3.2.3




თუ აღნიშნულ მონაცემებს სხვადასხვა ჭრილში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს იძლევა მხოლოდ დაწესებულების ტიპის და სქესის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფები:

დახურული ტიპის დაწესებულების პატიმართა 66.2%, ხოლო ნახევრად ღია ტიპის სრულწლოვან პატიმართა 64.3% აღნიშნავს, რომ საჩივარს ყოველთვის თავად წერს, მაშინ როდესაც იმავე პრაქტიკას არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმართა მხოლოდ 14.3% მიმართავს (ამ ჯგუფის 85.7% აცხადებს, რომ საჩივარს არასდროს წერს დამოუკიდებლად, აქედან ნახევარს საჩივრის შედგენაში ეხმარებიან, მეორე ნახევრის შემთხვევაში კი საჩივარი მათ მაგივრად სხვას შეაქვს).


ქალი პატიმრების 60% საჩივარს ყოველთვის ან უმეტესწილად თავად წერს. რაც შეეხებათ კაც პატიმრებს, ეს მაჩვენებელი მათში 70.8%-ია.

დიაგრამა N3.2.4




შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.

დიაგრამა N3.2.5



შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.


დიაგრამა N3.2.6




შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.

3.3. საჩივრების შეტანის სიხშირე


დიაგრამა N3.3.1




დიაგრამა N3.3.2




დიაგრამა N3.3.3




დიაგრამა N3.3.4



დიაგრამა N3.3.5




დიაგრამა N3.3.6




როგორც მონაცემები აჩვენებს, ორივე ტიპის (ღია, კონფიდენციალური) საჩივრების შემთხვევაში, რაოდენობები საკმაოდ დივერსიფიცირებულია. თუმცა, საჩივრების შემტანი პატიმრების უმრავლესობის (დაახლოებით 60%) მიერ შეტანილი ღია საჩივრების რაოდენობა მერყეობს 1–6 საჩივრის ფარგლებში, ხოლო კონფიდენციალური საჩივრების რაოდენობა შეუდარებლად მცირეა. თუ შეტანილი საჩივრების რაოდენობის საშუალო მაჩვენებლებს დავთვლით, მონაცემები ასეთია: ღია საჩივრების საშუალო რაოდენობაა - 21, ხოლო კონფიდენციალურის - 5.


დიაგრამა N3.3.7



დიაგრამა N3.3.8




დიაგრამა N3.3.9



3.4.საჩივრების საგანი


დიაგრამა N3.4.1



შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.

საჩივრების შეტანის დიაგრამაზე მოტანილი მიზეზების გარდა, კვლევისას დაფიქსირდა ბევრი სხვა მიზეზი (სულ გამოითქვა 95 მიზეზი), რომელთა სიხშირე, ცალკე აღებული, ძალიან მცირეა. მათ შორის მოხვდა: პრესით სარგებლობა, სპორტული ან კულტურული ღონისძიებების მოთხოვნა, ნივთების გადაცემის მოთხოვნა და ა.შ.

დიაგრამა N3.4.2




შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.

3.5 ერთსა და იმავე საკითხზე საჩივრების შეტანა

კვლევის შედეგების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში პატიმარს ერთსა და იმავე საკითხზე საჩივარი არაერთხელ შეაქვს. გამოკითხვის მიხედვით ასე მოქცეულა პატიმართა გამოკვეთილი უმრავლესობა – 64.5% (ასეთი გამოცდილება არ ჰქონია 34%-ს, 1.2%-ს უჭირს პასუხის გაცემა, 0.3% კი უარს ამბობს პასუხზე).

დიაგრამა N3.5.1




შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.

3.6. საჩივრის არშეტანის მიზეზები, საჩივრის შეტანის შესაძლებლობა

იმ პატიმრებს, რომლებსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში საჩივარი არ შეუტანიათ (ასეთია სულ 901 რესპონდენტი, ანუ გამოკითხულ პატიმართა 46%), დაესვათ შეკითხვა, თუ რა იყო ამის მიზეზი:


დიაგრამა N3.6.1



შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.


აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 85%-ზე მეტს საჩივრის შეტანის სურვილის შემთხვევაში, ამის განხორციელების საშუალება ჰქონდა:

დიაგრამა N3.6.2




სხვადასხვა ჭრილის მიხედვით, ეს მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება რესპონდენტთა სქესის შემთხვევაში, სადაც ქალ პატიმართა 20% აღნიშნავს, რომ საჩივრის შეტანის სურვილი ჰქონდა, მაგრამ არ შეუტანია. მამაკაცებში ასეთი პასუხი მხოლოდ შემთხვევათა 9%-ში ფიქსირდება.

პატიმართა იმ ჯგუფს, რომელმაც აღნიშნა, რომ საჩივარი, სურვილის მიუხედავად, არ შეუტანია (ასეთია სულ 188 პატიმარი), დაესვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ **რამდენად ხშირად ყოფილა ასეთი შემთხვევები მათ პრაქტიკაში ბოლო 2 წლის განმავლობაში**:



ამ კატეგორიის რესპონდენტებმა (სულ 188 პატიმარი) დაასახელეს ის მიზეზები, რამაც შეუშალა მათ ხელი საჩივრის შეტანაში. პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

დიაგრამა N3.6.4



შენიშვნა: *მოცემულ კითხვაზე დასაშვები იყო პასუხის ერთზე მეტი ვარიანტი; შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს.*


არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში ის რესპონდენტები, რომლებსაც, სურვილის მიუხედავად, საჩივარი არ შუტანიათ, ამის მიზეზად მხოლოდ ერთ ფაქტორს ასახელებენ – განცდას, რომ ეს ნაბიჯი მათ მდგომარეობას დაამძიმებდა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვან წილს იკავებს ქალი პატიმრების (24.1%) და ბრალდებულების (26.7%) შემთხვევაში.

კაცი პატიმრების შემთხვევაში, სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლა სახელდება შემთხვევათა 35%–ში (ქალი პატიმრების შემთხვევაში, ამ მიზეზის ხვედრით წილი მხოლოდ 3.5%–ია). სხვა პასუხებთან შედარებით, ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლა იკვეთება დახურული ტიპის დაწესებულებებში (43.2%), ასევე მსჯავრდებულებში (32.1%).

4. საჩივრებზე რეაგირება

4.1. საჩივრის რეგისტრაციის ნომერი


დიაგრამა N4.1.1




როგორც მონაცემები აჩვენებს, როგორც ღია, ისე დახურულ საჩივრების შემტან პატიმართა უმრავლესობას ეცნობა საჩივრის რეგისტრაციის ნომერი. მიუხედავად ამისა, აშკარაა განსხვავებაც: ყოველი მეხუთე პატიმარი (მათგან, ვინც ღია საჩივარი შეიტანა) აცხადებს, რომ მათთვის არასოდეს გამხდარა რეგისტრაციის ნომერი ცნობილი, მაშინ როდესაც კონფიდენციალური საჩივრის შეტანის შემთხვევაში ასეთ ნეგატიურ პრაქტიკაზე ყოველი მესამე პატიმარი მიუთითებს.

პატიმრების სხვადასხვა ჯგუფებში ერთი საინტერესო თავისებურება იკვეთება: ღია ტიპის საჩივართან დაკავშირებით პასუხი „ყოველთვის“ ყველაზე იშვიათად გასცეს დახურული ტიპის დაწესებულების პატიმრებმა (44.6%), რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებასთან (67.5%) და არასრულწლოვანთა დაწესებულებასთან შედარებით (57.1%).


დიაგრამა N4.1.2



დიაგრამა N4.1.3




დიაგრამა N4.1.4




არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პატიმრებში, სხვა ჯგუფებთან და საერთო მონაცემებთან შედარებით, გაცილებით დიდია ადვოკატის როლი - შემთხვევათა ზუსტად ნახევარში ადვოკატი არასრულწლოვან პატიმართა ნაცვლად ითხოვს სარეგისტრაციო ნომერს. შედარებისთვის, სხვა ტიპის დაწესებულებების (დახურული და ნახევრად ღია) პატიმრები ადვოკატს ასახელებენ შემთხვევათა 1.7%–ში (დახურული დაწესებულების შემთხვევაში), ან 3.3%–ში (ნახევრად ღია დაწესებულების შემთხვევაში).

4.2. ადრესატისაგან საჩივარზე გამოხმაურების სიხშირე


დიაგრამა N4.2.1



დიაგრამა N4.2.2




დიაგრამა N4.2.3.




4.3. საჩივრებზე პასუხების დროულად მიღება

დიაგრამა N4.3.1




4.4. საჩივრებზე წერილობითი პასუხის მიღება

დიაგრამა N4.4.1




დიაგრამა N4.4.2




4.5. საჩივრების დაკმაყოფილების სიხშირე


დიაგრამა N4.5.1




დიაგრამა N4.5.2



დიაგრამა N4.6.1




დიაგრამა N4.6.2




4.7. რეაქცია საჩივრის შეტანაზე სხვადასხვა პირის მხრიდან

დიაგრამა N5.7.1




დიაგრამა N4.7.2




4.8. საჩივარზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება და გასაჩივრების შედეგი


დიაგრამა N4.8.1




დიაგრამა N4.8.2



დიაგრამა N4.8.3




დიაგრამა N4.8.4



4.9. ზეპირი საჩივრები

დიაგრამა N4.9.1



4.10. რას შეცვლიდნენ პატიმრები საჩივრის შეტანის პრაქტიკაში?

პატიმრებს დაესვათ ღია ტიპის შეკითხვა იმის თაობაზე, თუ **რას შეცვლიდნენ/გააუმჯობესებდნენ საჩივრის შეტანის პრაქტიკაში**.

ცხრილი N4.10.1


რას შეცვლიდით/გააუმჯობესებდით პატიმრის მხრიდან საჩივრის შეტანის პრაქტიკაში?	
არაფერს არ შევცვლიდი	11.6%
საჩივარს მოჰყვეს დროული და სამართლიანი რეაგირება	8.6%
პატიმართა ინფორმირებულობის გაუმჯობესება	1.6%
პასუხები გასაგებ ენაზე იყოს დაწერილი	1.3%
კონფიდენციალურობის რეალურად დაცვა	1.2%
მეტი ყურადღება პატიმრის განცხადებების მიმართ	1.1%
გაძლიერდეს სოც. სამსახური და გახდეს დამოუკიდებელი ადმინისტრაციისგან	0.9%
ვისურვებდი გახსნილ ურთიერთობას ადმინისტრაციის მხრიდან (ნდობაზე დამყარებული კომუნიკაცია)	0.7%
კეთილგანწყობა პატიმრების მიმართ	0.6%
საჩივრის შეტანას არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი	0.5%
შეწყალება უნდა ხდებოდეს სამართლიანად/არ იყოს მშრალი პასუხები	0.5%
საჩივრის ადრესატამდე მისვლა	0.4%
გადაწყვეტილების მიღება კეთილსინდისიერად	0.4%
აზრი არ აქვს რაიმეს შეცვლას	0.4%
შეწყდეს პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა და ფსიქოლოგიური ზეწოლა	0.4%
პატიმართა სამართლებრივი კონსულტაციის უზრუნველყოფა	0.3%

კონფიდენციალური საჩივრები არ გაიხსნას	0.3%
მეტი ყურადღება მიექცეს პატიმრის უფლებებს	0.3%
სამედიცინო დეპარტამენტის დროული რეაგირება	0.3%
საჩივრების უფრო მეტად დაკმაყოფილება	0.3%
საჩივრებზე პასუხი იყოს დასაბუთებული	0.3%
საჩივრის ადრესატებთან შედგეს პირადი შეხვედრები	0.2%
პერსონალი არ აქცევს ყურადღებას მსჯავრდებულის პრობლემებს	0.2%
ხდება საჩივრების უაზრო გადამისამართება	0.2%
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი მოგვაწოდონ ოფიციალურად და დროულად	0.2%
პასუხების მიღება დროულად ადმინისტრაციის მხრიდან	0.2%
საჩივრის ყუთი იყოს ხელმისაწვდომი და მისი გახსნა გაკონტროლდეს მიუკერძოებელი პირების მიერ	0.2%
მეტი ყურადღება საქმეების გადახედვის მხრივ	0.2%
პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისია ადგილზე შეხვდეს და ესაუბროს პატიმრებს	0.2%
კალმისა და ფურცლის ყიდვის შესაძლებლობა	0.1%
საკნებში დოკუმენტაციის (მაგ., პატიმრობის კოდექსის) შეტანა	0.1%
პატიმარი ვერ აკონტროლებს საჩივრის ადრესატამდე მისვლას, რადგან დარეკვის უფლება არ აქვს	0.1%
პატიმარს შეეძლოს კომპეტენტურ ხალხთან კომუნიკაცია	0.1%
პატიმარს შეეძლოს ტელეფონის საშუალებით დაკავშირება ადრესატთან,	0.1%


საჩივრის დაწერის გარეშე	
სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს ვალდებულება წერილობით დაადასტუროს საჩივრის ჩაბარება	0.1%
ბრალდებულს ჰქონდეს წვდომა სახალხო დამცველის ცხელ ხაზთან	0.1%
დაუშვან არასამთავრობო ორგანიზაციების/სახალხო დამცველის ოფისის მონიტორინგი საპატიმროებში	0.1%
გაკონტროლდეს ადმინისტრაციის მიერ პატიმრობის კოდექსის შესრულება	0.1%
დაიხვეწოს სამართლებრივი აქტები, რათა არ იყოს ადგილზე ინტერეპრეტაციის შესაძლებლობა	0.1%
თარჯიმნით უზრუნველყოფა საჩივრების შესადგენად	0.1%
პატიმარი უნდა განათლდეს საკუთარი უფლებების სფეროში	0.1%
საპატიმროების ადმინისტრაციის კადრების გადამზადება	0.1%
მოიხსნას განცდა, რომ საჩივრის შეტანის შემდეგ პატიმრები დაისჯებიან	0.1%
წერილების გაგზავნა უფასო უნდა იყოს	0.1%
სოციალური მუშაკი უნდა იყოს დაწესებულებაში	0.1%
არ იყოს შეფერხება კონვერტით უზრუნველყოფაში	0.1%
გასაჩივრება დაკავშირებულია თანხასთან, სასამართლო ხარჯებთან, რომლის გადახდა პატიმრის ოჯახს არ შეუძლია	0.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	39.7%
პასუხი არ არის	23.5%

5. პატიმრობის ისტორია


დიაგრამა N5.1




დიაგრამა N5.2




დიაგრამა N5.3




დიაგრამა N5.4



დიაგრამა N5.5



დიაგრამა N5.6




გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთაგან ადრე ნასამართლევია 54%, 45.7%-თვის კი ეს პირველი ნასამართლეობაა, (0.3% ამ შეკითხვაზე პასუხზე უარს ამბობს).


D. სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლები

რესპონდენტთა 91.4% მამაკაცია, 7.8% კი ქალი.[116] მათი ასაკობრივი გადანაწილების სურათი ასეთია:


დიაგრამა D1



დიაგრამა D2




დიაგრამა D3




[116] კითხვარების დანარჩენ 0.9%-ში სქესი არ არის მითითებული;

დიაგრამა D4




ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური შეფასების თვალსაზრისით, თავიანთი ოჯახების შემოსავალს „ძალიან დაბალს“ ან „დაბალს“ უწოდებს პატიმართა 66.9%.

დიაგრამა D5




გამოკითხვაში სულ გამოიკვეთა 22 სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობა. რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (87.3%) ეროვნებით ქართველია. სომხური (4.2%) და აზერბაიჯანული (3.7%) ეროვნების გამოკლებით, დანარჩენ 19 ეროვნებაზე 4.6% მოდის (ანკეტების 0.2%-ში ამ კითხვაზე პასუხი არ არის).


დიაგრამა D6



დიაგრამა D7



დიაგრამა D8



დიაგრამა D9

